F 10333/3

10.333.
3

№ 11 წიგნის მა- „კულტურა“ მოგზავლოგა № 11

180

ერი თუ კაცობრიობა?!

(ბ. Bâton-ის წიგნის გამო).

აკ. ჩ.—ლისა.

საუკეთესო მაშულიშვილის და მსოფლიო მოქალაქის
დავით სარაჯიშვილის ხსოვნას.

თფილისი
სტამბა „ნადეჟდა“. მიხაილოვის ქუჩა № 5.
1912 წ.

№ 11 წიგნის მა- „კულტურა“ მოგცემლობა № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი თუ კაცობრიობა?!

(ბ. Bâton-ის წიგნის გამო).

F 10,333/3

აკ. ჩ.—ლიისა.

სუკეთესო მამულიშვილის და მსოფლიო მოქალაქის
დავით სარაჯიშვილის ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისი
სტამბა „ნადეჟდა“ მიხაილოვის ქუჩა № 5.
1912 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობის მაგიერი.

უფ! —ასე წამოიძახებს ყველა ის, ვისაც მოთმინება ეყოფა და ბოლომდე გადაიკითხავს ბ. Báton-ის თხზულებას: **„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიური მხრით.“** ეს სათაური გვამცნევს კიდეც, რომ საქმე თითქო წმინდა და სასტიკ მეცნიერულ გამოკვლევასთან გვაქვს, მაგრამ ეს უფრო პირველ შეხედვით. ამაში არ აგვიხირდება, იმედია, თვით ავტორიც, რომელიც არა ერთხელ ნათლავს თავის შრომას „პატარა მოთხრობის“ სახელით (გვ. 92 და სხვაგან). მკითხველი, უეჭველათ, ვერც ამაში დაეთანხმება ავტორს—„მოთხრობა“ ერთობ გაჭიანურებულია და მოსაწყენი,—მაგრამ არც აქაა სადაო რამე, რაიცა სჩანს წიგნის წინასიტყვაობიდან: „ვგრძნობ აგრეთვე—გულახდილათ გვიცხადებს ავტორი,—რომ თვით ფორმა მოთხრობისა ვერ არის სასურველი,—შესაძლებელი იყო უკეთესი და უმარტივესი ფორმა ამერჩია. ენაც ქართული ვერა მაქვს სასიამოვნოდ სასმენელი. ხშირი განმეორებითაც თავს ვაწყენ მკითხველს. მაგრამ პირველი ორი ნაკლის თავიდან აცილება ჩემს ძალას აღემატებოდა, მესამე კი **განზრახ** ჩავიდინე, რომ უფრო ნათელ-მეყო ჩემი აზრი“ (XXXII). ჩემგან ხაზ-გასმული „განზრახ“ შეიძლება მართლაც სანაქებოა ავტორის თვალში, მაგრამ ვეჭვობ, იგი ასეთი დარჩეს მკითხველის თვალშიც: ერთისა და იმავის გლახა ჭრიაშვილის ჰანგზე დაუბოლოებლათ განმეორება „ვერ არის სასურველი და ვერც ნათელ-საყოფელი“. ხოლო სულ ტყუილა ცდილა ავტო-

რი კიდევ უფრო დაემძიმებინა მისი „დანაშაული“ ნა-
ლაც „წინასწარი განზრახვით“, რადგან, რამდენათაც
მის ნაწერებს ვიცნობ, ხშირი და გაუთავებელი განმეო-
რება მის ისეთ ორგანიულ თვისებას შეადგენს, რომლის
„თავიდან აცილება“ ჰეშმარიტად „აღემატება მის ძალას“!

წიგნის მოვლინებას უფრო ღრმა და გულწრფელი
მიზეზ-საბაბი უძევს საჩრულად. ,,ჩემთვის ეროვნული სა-
კითხი—ვკიოხულობთ იმავე წინასიტყვაობაში—გადაწყვე-
ტილი არ არის, ეს საკითხი კი **ჩემი ყოფნა არ ყოფნის
საკითხია**..... და ამიტომაც მინდა აღვიარო სამართ-
ლიანი და კანონიერი უფლება **ჩემი არსებობისა**,
განვამტკიცო იგი ჩემს რწმენაში და ვეცადო საზოგა-
დოდ დავამტკიცო, როგორც შემიძლია, იმავე უფლების
სამართლიანობა ყველა ჩაგრულ ერისთვის'' (XXXI, ხა-
ზი ჩემია). როგორც ხედავთ, ავტორი იურისტთა თქმის
არ იყოს ,,დაინტერესებული მხარეა'', მას არ ძალ-
უძს გულგრილათ და მიუდგომლათ იმსჯელოს. თავის
თხზულებასაც ალბათ ამიტომ დაარქვა მან მოთხრობა,
რადგან მასში გატარებული დედა-აზრი ავტორისათვის
,,ყოფნა არ ყოფნის საკითხია''. ნურვინ დამწამებს ვი-
თომ მე აბუჩად ვიგდებდე ავტორის ეროვნულ გრძნო-
ბას და გულწრფელობას—დიდება და პატივი ორივეს—,
მე მაწუხებს მხოლოდ ის, რომ ავტორმა ნაცვლად მეცა-
ნიერულ ფორმისა რომელიმე **მხატვრული** ფორმა არ
აირჩია თავის ტრაღიკულ სულის-კვეთების მკითხველის
წინაშე გადმოსაშლელათ.

მაშინ არც მე გამიძნელდებოდა მკაფიოთ გამერჩია
მის შრომაში გონების ნაყოფი გრძნობის ნაყოფისაგან. ავ-
ტორი ღელავს და შფოთავს მთელ 375 გვერდის სივ-
რცეზე, მას მოსვენებას არ აძლევს **ვილაცა**, ბრაზსა
ჰგვრის **რაღაცა**.... ალაგ-ალაგ იგი თითქო კიდეც ებრ-

ძვის ამ, მის მკერდში დაგუბებულ, გრძნობებს, მაგრამ ამაოთ. მისი კილო ძვირათ თუა დინჯი და დარბაისლური, როგორც ეს შეფერის თვით მისგან აღებულ თემას; იგი, კილო, უმეტესათ დრამატიულია, ხან პათეთიური და ზოგ შემთხვევაში, სამწუხაროთ, ისტერიულიც. როგორ გნებავთ ანგარიში გაუწიოთ ასეთ შრომას? წიგნი უეჭველათ მდიდარ მასალას იძლევა ჩვენი დროის დამახასიათებელ ერთ-ერთ ტიპიურ პიროვნების ღრმა ფსიხოლოგიურ ანალიზისათვის, მაგრამ ეს როდია ამ წიგნაკის საგანი.

მაშ ასე, ერი და მისი სვე-ბედი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ავტორს და კიდეც ამიტომ მის შრომას ყოველ ნაბიჯზედ სულ-წასულობის დაღი ასვია. ბ. Räton წიგნის დასაწყისშივე ამბობს თუ რა პრობლემა დაუსახავს მას გადასაჭრელათ და რა მიზნით, აი ეს სიტყვებიც: **„რა არის კაცობრიობა და რა არის ერი სოციალური მხრით, საზოგადოებრივი სინამდვილის მხრით? შეეწირება თუ არა პირველს მეორე?“** (2, ხაზი ავტორისაა). ამ გვარათ, განსახილველათ დასახულია ერთის მხრით კაცობრიობა, ხოლო მეორეს მხრით ერი, და ეს კი მხოლოდ და მარტო იმ მიზნით, რომ ერთი მათგანი უთუოთ **ზვარაკად** უნდა „შეეწიროს“ მეორეს!

ავტორი, როგორც ხედავთ, მთლად შეპყრობილია **წინასწარი აზრით**, რომლის გარეშე ის ვერც ამჩნევს რამეს და არც უნდა რამე შეამჩნიოს. თუ ის, მაგალითად, ძალზე აძაგებს აქა-იქ და პირიდანაც დორბლებსა ყრის დოგმატიზმის, ან კიდევ დოქტრინარიზმის ყოველ ხსენებაზე, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ ის თავისუფალია ან ერთისა და ან მეორისაგან. პირიქით, ეს ორი თვისება იმდენათ თანდაყოლილია და თანშეზრდილი მის არსებაში, რომ ის ხშირად გვაგონებს გააფთრე-

ბულ ინდოელ ფანატიკოსს, რომელიც მზათაა [illegible] წაჰგლიჯოს ყველა იმათ, ვინც მის აზრსა და რწმენას არ იზიარებს.

ასეთ ყაიდის ადამიანმა აბა როგორ უნდა შესძლოს რომელიმე მეცნიერულ პრობლემის საფუძვლიანათ დამუშავება და გადაჭრა? თანახმათ თქმულისა ბ. Bàton-ის ნაწარმოები არ წარმოადგენს თვით ავტორის მიერ ღრმათ მოფიქრებულ, ფრთხილათ აწონილ-დაწონილ, ორიგინალურ და მთლიან მეცნიერულ გამოკვლევას. იგი არის, ასე ვსთქვათ, ერთი ვეება კალეიდოსკოპი მრავლისაგან მრავალ აზრებისა და დებულებათა, რომელნიც ამოუკრეფია ავტორს აუარებელ უცხოელ მოაზრეთა წიგნებიდან, და ეს არა იმდენათ ამა თუ იმ ჭეშმარიტების „ნათელ-საყოფელათ", რამდენათ მისგან აკვიატებულ წინასწარ მიზნის—ზვარაკად შეწირვა!—მისაღწევათ. გამოდის ისე, თითქო ავტორს არც კი სცხელა მისგან ნასესხ აზრთა და დებულებათა ურთიერთ შორის ლოგიკურ შეკავშირებისათვის; იგი მეტის-მეტათ ჩქარობს და არ აკვირდება, სად და რა შემთხვევაში გამოუთქვამს ამა თუ იმ უცხოელს ესა თუ ის აზრი ან დებულება; პირიქით, შთაბეჭდილება ისეთია, თითქო ავტორს თავდაპირველათ უბრალო დიაკვნურათ გადაეკითხოს ყველა მისგან დასახელებულ მეცნიერთა ნაწარმოებნი და იქიდან მექანიკურათ ამოეკრიფოს მხოლოდ და მარტო ისეთი აზრები და დებულებანი, რომელნიც ასე თუ ისე ამოწმებენ, ან უკეთ, —ადასტურებენ მის მიერ თავიდანვე **მზამზარეულათ** აღებულ და აქედან ერთობ შეყვარებულ დედა-აზრს. მეთოდი, თავის თავათ ცხადია, არაა თანამედროვე, იგი სხოლასტიკურია და უვარგისი.

ამით მე სულაც არ მინდა დავმალო ის უტყუარი ფაქტი, რომ ბ. Báton, მიუხედავათ მის დაუდგრომელ

სამხრეთელ ტემპერამენტისა და ჰიპერბოლურ აზროვნებისა, დიახაც ნიჭიერი პუბლიცისტია, რომლის ნაწერები უფრო გულის სილრმიდან აღმონახეთქ იმპროვიზაციას წააგავს, ვინემ ცივ და დიალექტიურ გონების ნაყოფს. მის ბუნებას არ ეგუება დამჯდარი მეცნიერული კვლევა-ძიება. რამდენათ უკეთესი იქნებოდა ეს თხზულება ისე დაეწერა მას, როგორც „უფალმა ჩაუდვა თავში“! ხოლო რაც შეეხება იმ მართლაც მდიდარ მასალას, რომელიც მას ხელთ ქონია, შესაძლებელი იყო მოეხმარა თუ გინდ ამ გვარათ: შეედგინა სრული მონოგრაფია უცხო ლიტერატურისა **ერზე** და მასთან მჭიდროთ დაკავშირებულ კითხვებზედ. ამით ის გაცილებით უფრო დიდ სამსახურს გაუწევდა ქართველ მკითხველს, რომელიც ასე დაინტერესებულია ამ უკანასკნელათ ხსენებულ პრობლემის შესწავლაში. მაგრამ რაღა ამაზე უნდა შევჩერდეთ, როცა ბ. Bàton-ს ისიც კი არ დაუნახავს საჭიროთ მიეთითებია მკითხველისათვის, სახელდობრ რომელ გვერდზე გამოუთქვამს თვითეულ მისგან ნახსენებ მეცნიერს ესა თუ ის აზრი. მართალია, არის გამონაკლისი ამ მხრივ, მაგრამ ეს ხომ მარტოოდენ საერთო წესს ამტკიცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

ე რ ი

არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც ცნება ერი ანუ ნაცია საზოგადოებრივ მეცნიერების საკვლევ საგნად იქცა. მხოლოდ მე-XIX-ე საუკუნის მეცნიერნი აქცევენ მას განსაკუთრებულ ყურადღებას და დღეს უკვე ვრცელი ლიტერატურა არსებობს მის შესახებ სხვა და სხვა ენაზე. ეს არაა გასაკვირი, რადგან ერთა ჩამოყალიბების პროცესს და აქედან ეროვნულ ბრძოლას ფრიად თვალსაჩინო ალაგი ეჭირა ევროპაში გასულ საუკუნეში. არც ჩვენი დრო წარმოადგენს ამ მხრივ რაიმე გამონაკლისს, რადგან დღესაც წარმოებს ეგ ჩამოყალიბების პროცესი, აგრეთვე დღესაც არსებობენ როგორც „მპყრობელნი“ (державныя націи) ისე დამონავებულნი ერნი, აქედან ეროვნული შუღლი და აურ-ზაური კვლავინდებურათ სწამლავს ჰაერს და აუკულმართებს ადამიანთა ურთიერთობას.

ეჭვს გარეშეა, თავისუფალ ერის მოაზრეს ხსენებულ პრობლემის უფრო **თეორიული** მხარე აინტერესებს, ხოლო ჩაგრულ ერისას კი **პრაქტიკული**. ბ. Bàton, ჩაგრულ ერის მოაზრე, ორსავე მხარეს ერთბაშათ არკვევს თავის წიგნში. მე ვთქვი „არკვევს“, თუმცა ეს გამორკვევა, ერთის მხრით, უცხოელ მეცნიერთა აზრების ერთი მეორეზე დაკოწიწებაში გამოიხატება, ხოლო მეორეს მხრით ადგილობრ იდეურ მოპირდმპირეთა ლანძღვა-თრევაში. პირველ შემთხვევაში ის თეორეთიკოსობს, ხოლო მეორეში პოლიტიკოსობს, მეც ამიტომ ჯერ დავიწყებ თეორიიდან და შემდეგ გადავალ პოლიტიკაზე.

თავის თავათ მისახვედრია, ბ. Báton, ცდილობს განსაზღვროს ცნება ერი, და თავის მსჯელობას ამ საგან-

ზე ის ამყარებს ერთ-ერთ ზოგად კრიტერიუმზედ; ასეთ კრიტერიუმად მას მიუჩნევია **სოციალობა**, ე. ი. ადამიანთა შეერთებაერთათ სამოქმედოთ, საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ასეთ შეერთებას ჩვენ ვეძახით საზოგადოებას, და აი ჩვენი ავტორიც წიგნის პირველ და ყველაზე უვრცელეს თავში გვიხსნის, **რა არის საზოგადოება**.

ავტორი საჭიროთ არ თვლის ანგარიში გაეწიოს საზოგადოების განვითარების სხვა და სხვა საფეხურებს, ან სხვა სიტყვით—ის იღებს განყენებულ საზოგადოებას, **დამოუკიდებლად დრო და ადგილისა**. ასეთ საზოგადოებას, მისი აზრით, ახასიათებს, ერთის მხრით, „გარეგნული მოწესრიგება", მეორეს მხრით, შინაარსი ანუ ჯამი „სოციალურ მოვლენათა". იგი ხელმძღვანელობს **დე-გრეფის** ცნობილ კლასიფიკაციით და მოჰყავს შემდეგი სოციალური მოვლენანი: „1) მოვლენანი კვებისა და მზგავსი ეკონომიურნი მოვლენანი. 2) მოვლენანი გენეზიურნი-შთამომავლობის გაჩენის და აღზრდის მოვლენანი. 3) მოვლენანი არტისტიულნი—ხელოვნების მოვლენანი. 4) მოვლენანი რელიგიურნი და მეცნიერულნი—სარწმუნოებისა და ცოდნის მოვლენანი. 5) მოვლენანი ზნე-ჩვეულებისა და ზნეობისა—მორალურნი მოვლენანი 6) მოვლენანი იურიდიულნი—მოვლენანი სამართლის განწყობილებათა. 7) მოვლენანი პოლიტიკურნი." (10—11). მათ გარდა არის კიდევ ერთი „უმშვენიერესი და განსაცვიფრებელი" სოციალური მოვლენა—**ენა** (36) აი, ეს სოციალური მოვლენანი და გარეგნული მოწესრიგება ჰქმნიან ადამიანთაგან იმას, რასაც ჩვენ **საზოგადოებას** ვეძახით. მაშასადამე, დაასკვნის ავტორი „**საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერ ორგანიზმი შემდგარი მიზანს დასახვის ნიჭის მქონე ადამიანთა-**

გან, რომელთა გარეგნულათ მოწესრიგებული საერთო მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებას იმ სპეციალურ ორგანოთა საშვალებით, რომელნიც აქვს ყოველ სუპერ-ორგანიზმს განსაზღვრულ ფუნქციათა აღსასრულებლად" (53—4, ხაზი ავტორისაა).

აი კრიტერიუმი ანუ საზომი, რომლის დახმარებით ლამობს ავტორი როგორც ერის, ისე კაცობრიობის გათვალისწინება—განსაზღვრას. ის მსჯელობს ასე: ერი და კაცობრიობა თავის თავათ, ზოგადათ აღებულნი, გამოურკვეველი რამ ცნებანი არიან, ამიტომ, საჭიროა მათი განჭვრეტა „სოციალური ანუ საზოგადოებრივი სინამდვილის მხრით",—ეს კი მოასწავებს იმას, რომ ერის თუ კაცობრიობის რეალობა დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა თვითეული მათგანი „გარეგნულათ მოწესრიგებული" და თანაც მატარებელი ჩამოთვლილ „სოციალურ მოვლენათა". ცნება ერი შეიცავს, ავტორის აზრით, ყველა ამ საზოგადოებრივ თვისებებს, ხოლო ცნება კაცობრიობა არა,—ამიტომ „ერი არსებობს სოციალურად, კაცობრიობა კი არ არსებობს". (55, ხაზ. ავტ.)

გამოდის რა ამ თვალსაზრისიდან, ავტორი ასე განსაზღვრავს საბოლოოთ ცნება ერს: **„ერი არის სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი** (ტარდის სიტყვებით), **შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულათ მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავის ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სა-**

მართლითა და პოლიტიკითა,—საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინვიდუალობითა". (130—1, ხაზ. ავტ.)

ყველაზე წინ მკითხველის ყურადღებას იპყრობს ორივე ცნების, ე. ი. საზოგადოებისა და ერის განსაზღვრის **ერთ-იგივობა**. მართალია, თვითეული ზევით მოყვანილი განსაზღვრა სხვა და სხვა სიტყვებს და ფრაზებს შეიცავს, აქედან ისინი თითქო დიდათ განირჩევიან ერთი მეორისაგან, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ გარეგნულათ. ახლა რო დააკვირდეთ, უეჭველათ გაგახსენდებათ ის, რაც მაზე ადრე ითქვა ავტორის მიერ სახელმძღვანელო კრიტერიუმის შემუშავების დროს. მართლაც-და, ერიც და საზოგადოებაც ორივე სუპერ-ორგანიზმია, გარეგნულათ მოწესრიგებული, ორთავეში მიზან-დასახვის ნიჭის მქონე ადამიანები მოქმედებენ და სოციალობა გამოწვეულია საერთო მოთხოვნილებათა საერთო ძალღონით დაკმაყოფილების საჭიროებისაგან, ამიტომ ორთავეში თანაბრათ ვამჩნევთ ეგ. წოდ. სოციალურ მოვლენათ: გამოკვება-გამრავლებისას, ხელოვნებისას, საწმუნოებისას, მეცნიერებისას და სხ.,—ამ გვარათ, ორთავეში ვხვდებით სპეციალურ ორგანოებსა და მათ ფუნქციებს; აგრეთვე ყოველ საზოგადოებას აქვს არა ნაკლებ ერისა თავის ტიპი, ისტორია, თვითშეგნება, ინდივიდუალობა, რასაკვირველია, ამა თუ იმ ხარისხისა და ღირსებისა...

მაშასადამე, თითქო მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებასა და ერს შორის არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება, გარდა სახელწოდებისა. მაგრამ ავტორი დიახაც არ გვეთანხმება ამაში, იგი განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და ამას "ემდეგ-ნაირათ განგვიმარტავს: **„საზოგადოება აბსტრაქტიული ცნებაა განსაზღვრულ**

ბუნების მოვლენისა, ერი კი განსაზღვრული, კონ-კრეტიული მაკალითია ამ მოვლენის არსებობისა ბუნების წიაღსა შინა.“ (91, ხაზ. ავტ.).

იბადება კითხვა, რამდენათ მართალია ავტორის ეს უკანასკნელი დებულება? ჩემის აზრით, ერი ისეთივე აბსტრაქტიული ცნებაა, როგორც საზოგადოება და ამიტომ არც ამ მხრივ არის მათ შორის რაიმე განსხვავება. მართლაც-და, კონკრეტიულად არსებობს, მაგ. გერმანელთა ერი, ფრანგთა ერი და სხვა და **არა ერი, თავის თავათ და საზოგადოთ აღებული.** იგივე ითქმის საზოგადოებაზედაც, მაგ. ბერძენთა ანტიური საზოგადოება, ქართველთა გვაროვნული საზოგადოება და სხვა, —ამ შემთხვევაში ცნების განყენების ადგილზე ჩვენ ვღებულობთ მის რეალურათ განსახვას. მაშასადამე, საქმე დამოკიდებულია იმაზე, რომელ წერტილიდან ვუყურებთ ჩვენ საგანს.

მაგრამ ნუ ავხირდებით, – რეალობის სფერის განყენება გარდუვალია არამც თუ მეცნიერულ მსჯელობაში, არამედ უბრალო გასართობ ბაასშიც-კი. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ავტორს ერთობ სჩვევია, გერმანელთა თქმის არ იყოს, აბსტრაქციებით „ჯირითი“, ის ივიწყებს, რომ მათ, აბსტრაქციებს, პირობითი ანუ სათუო მნიშვნელობა აქვთ მეცნიერულ მსჯელობაში. ვთქვათ, ავტორი მართალია: საზოგადოება აბსტრაქტიული ცნებაა, ხოლო ერი კონკრეტიული, —მაგრამ რა მტკიცდება ამით პირველ ყოვლისა? ისა, რომ ავტორი აფუძნებს მთელს თავის გამოკვლევას აბსტრაქციაზედ: **რეალური ერი მას გამოჰყავს განყენებულ საზოგადოებიდან,** როგორც ეს ზევით დავინახეთ. ასეთი მეთოდი იმის გარდა, რომ მოძველებულია, ხელს უწყობს მშრალ რეზონიორობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი სამართლიანათ შენიშნავს ერთ ალაგას, **რომ ყოველი ერი არის იმავ დროსვე საზოგადოება, მაგრამ ყოველი საზოგადოება სულაც არაა ერი.** აქედან ნათლათ გამოსჩვივის ის ჭეშმარიტი აზრი, რომ როგორც ერი, ისე საზოგადოება **ისტორიული კათეგორიები არიან.** ეს რომ ასეა, ამას კარგათ ვამჩნევთ ავტორის მიერ ერის განსაზღვრაში, სადაც ხმარებულია ფრაზა **„ჟამთა ვითარებაში“**. განა ამის შემდეგ მოსალოდნელი არ იყო, რომ სწორეთ **ისტორიულის** მხრით განიხილავდა ავტორი ორსავე ცნებას? ოღონდაც. მაგრამ ის **განზრახ** გაურბის ამ მადლიან საქმეს და მხოლოდ-ღა მეტაფიზიკურ ქურუმობას ეწევა. ხოლო, მეტაფიზიკიც არის და მეტაფიზიკიც. უფრო სერიოზული მათგანი წარ-მარა როდი გაისვრის განყენებულ აზრებს, ის უქვემდებარებს მათ ამა თუ იმ მტკიცეთ განსაზღვრულ ლოგიკურ მეთოდს და ამიტომ მის იდეალისტურ მსჯელობაში მკითხველი ნათლათ ამჩნევს აზრთა ერთიერთ კავშირს, ერთიდან მეორეზე გადასვლას და სხ. ჩვენს ავტორს ჭეშმარიტათ ვერ დავსწამებთ ასეთ „ცოდვას“. ისტორიულ-ევოლიუციონური განხილვა საზოგადოებისა და ერისა უეჭველათ მოითხოვდა ამა თუ იმ მეცნიერულ მეთოდის მომარჯვებას, ეს კი არც ისე ადვილი საქმეა, შეიძლება სახიფათოც გამხდარიყო ავტორისათვის!

სწორეთ ამ სათავიდან გამომდინარეობს ის მთავარი ნაკლუანება, რომელიც ზევით აღვნიშნე. საზოგადოება და ერი, ასე ვთქვათ, **ტყუვდება** მკითხველის თვალში, იგი ვერ გაართმევს მათ ვერც თავსა და ვერც ბოლოს. ავტორის მიერ დასახელებული ნიშანი — ერთის განყენება და მეორის განსახვა — არაა, როგორც ვთქვი, მოსატანი, და თუ გინდ მოსატანიც იყოს იგი, ამით დიდი არაფერი მტკიცდება. ტყუილა ფიქრობს მკითხველი, რომ ავ-

ტორი დაასაბუთებს მის მიერ წამოყენებულ, ფრიად მნიშვნელოვან დებულებას, რომ **ყოველი საზოგადოება არ არის ერი**. არავითარი ანალიზი ამის შესახებ წიგნში არ მოიპოვება.

და რადგან სიტყვამ მოიტანა, მეტი არ იქნება აქვე ვთქვათ გაკვრით, რომ საზოგადოება **გვაროობითი** (родовой) ცნებაა, ხოლო ერი **სახეობითი** (видовой); მასთან საზოგადოება მხოლოდ იმდენათ გულისხმობს ერს, რამდენათ პირველისაგან „ჟამთა ვითარებაში" წარმოშობილა მეორე. ფორმალურ-ლოგიკურათ ასე შეიძლება ამ აზრის განმარტვა: **ადამიანთა სოციალობის ანუ საზოგადოებრივობის განვითარება - გართულების ერთი რომელიმე ხარისხი იწვევს იმას, რასაც ჩვენ ვეძახით ერს**. ამიტომაა საჭირო უწინარეს ყოვლისა გულდასმით შესწავლული იქნას ცოცხალ ისტორიულ მაგალითების შემწეობით ადამიანთა სოციალობის განვითარება-გართულების ძლევამოსილი მსვლელობა და ამ **პროცესიდან** თანდათან გამოყოფილ იქნან, ან უფრო სისწორით რომ ვთქვათ—განყენებულ იქნან ის **ელემენტნი**, რომელთა ერთათ შეკონვა ბოლოს და ბოლოს იძლევა სურნელოვან თაიგულს—**ერს**. აი, რა გზით უნდა ევლო ავტორს, თუ მას მართლა საგნის მეცნიერულათ გამოკვლევა სწადდა. საზღვარი, სად უნდა იქცეს საზოგადოება ერად და შერჩევა იმ უცილობელ ელემენტთა, რომელნიც ჰქმნიან ერს, სავსებით დამოკიდებულია თვით მკვლევარის თვალსაზრისზე,—ეს კი მოასწავებს იმას, რომ ყველა ამაებისთვის მკვლევარს ეჰივრება რაიმე კრიტერიუმი, გამომდინარე თვით მის ძირითად პრინციპებიდან. აი, საშვალება, რომელიც გაუკაფავდა ავტორს ხსენებულ ეკლიან გზას.

ავტორი, მაგ., სამართლიანათ განარჩევს ერს **ხალ-**

ხისაგან, თუმცა უკანასკნელი უეჭველათ საზოგადოებრიობის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურის ნაყოფია და ამიტომ **მატარებელი** ეგრ. წოდ. „სოციალურ ორგანოებისა". მე ვეთანხმები ავტორს იმაშიც, რომ ხალხი „მასალაა", რომლისაგან „ჟამთა ვითარებაში" ყალიბდება ცოცხალი ორგანიზმი—ერი, მაგრამ საკვირველია, რომ ამ ჩამოყალიბების პროცესს ის ერთხელაც კი არ ეხება. სამაგიეროთ ის არქეოლოგიურ ექსკურსიასაც კი ახდენს და დილეტანტურათ იკვლევს წიგნის ერთ-ერთ თავში ქართველ ერის ასავალ-დასავალს უხსოვარ დროიდან, მაგრამ ამ ვარჯიშობის ჟამს მას ერთხელ არ მოსდის თავში სწორეთ **ამ ერის ხანგრძლივ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიულათ გათვალისწინება და მხოლოდ ამ გზით ცნება ერის მეცნიერული განსაზღვრა.** რამდენათ მადლიანი იქნებოდა, მაგ., თუ გინდ ასეთ პრობლემის დასახვა: **თავის გრძელ და რთულ ისტორიის რომელ ხანაში იქცა ქართველობა ერად?**

ან იქნება ალაროდიელნი, ეს, თანახმათ ცნობილ ჰიპოტეზისა, ქართველობის უძველესნი წინაპარნი, ნამდვილ ერს წარმოადგენდენ?! ავტორის ენაწყლიანობიდან კი იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ქართველი ერი, **როგორც ასეთი,** მრავალ ასეულ და ათასეულ წლების წინეთაც არსებობდა. თავის თავათ მისახვედრია, ქართველთა **მოდგმის** ისტორიას არა ერთ ათას წლის წყვდიადში აქვს ფესვები გადგმული, მაგრამ ამის კვლევა-ძიება ავტორს მასზე უფრო კომპეტენტურ პირთათვის უნდა დაეთმო და თვითონ კი, თუ ფხა შესწევდა, ხსენებულ მოდგმის **ერად** ჩამოყალიბება დაენახვებია მკითხველისათვის. პირველ მიზნისთვის—არქეოლოგიურ განავარდებისათვის—მან ჰპოვა ნავთსაყდური ახალგაზდა

მკვლევარ ჯავახიშვილის ნაწერებში, ხოლო რაც შეეხება მეორე მიზანს—ქართველობის სოციოლოგიურად გაშუქებას,—ამ შემთხვევაში მას არ დაურჩა არც ერთი ავტორიტეტი, ასე რომ ეს შრომა დიახაც არ იყო მისთვის „სარფა“, როგორც მისი მეგობრები იტყოდენ.

ავიღოთ ავტორის მიერ ცნება ერის განსაზღვრა და ახლა დავაკვირდეთ მას. ერი არის, ამბობს ავტორი, ერთგვარი გარეგნულათ მოწესრიგებული სოციალური ორგანიზმი, რომლის სიცოცხლესა და მთლიანობას ნათელყოფს თავისებურება ენისა, სარწმუნოებისა, მეცნიერებისა, ზნეობისა, ხელოვნებისა, სამართლისა და პოლიტიკისა, და რომელიც განხორციელებაა განსაკუთრებულ ისტორიისა, ტიპისა, თვითშეგნებისა, ერთი სიტყვით, სრულის ინდივიდუალობისა. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ განსაზღვრაში ორიგინალური არაფერია, იგი გამოუთქვამს გაცილებით უფრო ნათლათ და მარტივათ ბევრი სხვას ავტორის ადრე, აგრეთვე მზგავს მრავალ.სართულიან განსაზღვრას, ეგრ. წოდ. იტალიური სკოლა ექომაგება და სხ. ამ განსაზღვრის მთავარი ნაკლუანება იმაში მდგომარეობს, რომ ის შეიცავს ყველაფერს და თანაც არაფერს: ყველაფერს—იმ აზრით, რომ მასში აღარაფერია გამოტოვებული ცა და დედა-მიწის შუა; არაფერს—იმ აზრით, რომ ავტორი არ გვითითებს სახელდობრ რომელია მათ შორის **ყველაზე უფრო** დამახასიათებელი ანუ სპეციფიური მისგან განსაზღვრულ ცნებისათვის.

სულაც არაა საკმარისი მგზავსათ ავტორისა შაბლონურათ ჩამოთვლა ენისა, სარწმუნოებისა, ზნე-ჩვეულებისა და ბევრი სხვა „ორგანოებისა“, ამით დღეს მაინც ფონს ვერ გახვალ. და ეს კიდევ უფრო იმიტომ, რომ ხსენებულ „ორგანოების“ უთავბოლო ხმარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოხებით ხშირათ არა-სასურველ შედეგებს ვღებულობთ.

„რამდენადაც ერებს იდენტიური, საერთო ორგანოები აქვსთ—ამბობს ავტორი—, იმდენად ერი საერთო ცნებას წარმოადგენს, რამდენადაც ორგანოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისთავად, იმდენად ერს აქვს თავის ინდივიდუალობა." (128). ეს ციტატი გამოხატავს ავტორის იმ აზრს, რომ ყველა ერებს აქვთ ენა, სარწმუნოება და სხვა „იდენტიური, საერთო ორგანოები", ხოლო თვითეულ ერს, **კონკრეტიულათ** აღებულს, აქვს **განსაკუთრებული** სხვა ერთაგან „განსხვავებული" ენაც სარწმუნოებაც და სხ.

F 10.333

მე მაინტერესებს კონკრეტიული ერი. ავიღოთ თავდაპირველათ **ენა**. ყოველ ერს, ავტორის აზრით, აქვს განსაკუთრებული ენა, მაგ: ინგლისელთ—ინგლისური ენა, ფრანგთ-ფრანგული და სხ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ხშირათ ორი, თვით ორზე მეტი ერი **ერთსა და იმავ** ენაზე ლაპარაკობს. საკმარისია დავასახელოთ ინგლისელი, ირლანდელი და ჩრდილო ამერიკელი, რომელთაც, მიუხედავათ მათ **საერთო** ენისა—ინგლისურისა—,თავი **სხვა და სხვა** ერის წარმომადგენლებად მოაქვთ. მეორეს მხრით, შესაძლოა **ერთსა და იმავ** ერის წევრნი **სხვა და სხვა** დედა-ენაზე ლაპარაკობდენ, მაგრამ ამით დიახაც არაფერი უშავდებოდეს მათ ეროვნულ მთლიანობას, ან უკეთ—ჰომოგენობას,—ასეა საქმე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში და საზოგადოთ ევროპიელთა განუწყვეტელ ემიგრაცია—იმმიგრაციისაგან წარმომდგარ, შედარებით ახალ ერებში. მე არარას ვამბობ მრავალ კილოკავებზე (ïdiomes), რომელნიც ხშირია ამა თუ იმ ერში და ძალზე შორდებიან მასში გაბატონებულ სალიტერატურო ენას, მაგ.: procencale საფრანგეთში plattdeuth გერმანიაში, მეგრული

ჩვენში... მეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ **საარწმუნოება** ამ მხრივ გაცილებით მეტ მრავალფეროვნებას იძლევა: კათოლიკობა **ერთია**, მისი ამღიარებელი კი **მრავალი ერი** ფრანგი, ესპანელი, უნგრელი და სხ.), ასევე მართლმადიდებლობაც (რუსი ბერძენი, ქართველი და სხ.), შემდეგ ლიუტერანობაც (გერმანელი, შვედელი, დანელი და სხ.)... მრავლისაგან მრავალი სექტები კიდევ სხვაა, აიღეთ ინგლისი და რუსეთი. რაც შეეხება **მეცნერებას**, ეს ისეთი „ორგანოა", რომ, იმედია, მკითხველი არც კი მოსთხოვს მაგალითებს, ან სხვა სიტყვით—იმის დამტკიცებას, რომ ინგლისელთ, რუსთ, ამერიკელთ, იაპონელთ და ბევრ სხვებს **ერთი და იგივე** მათემათიკა, ბიოლოგია... აქვთ! სამართალზე, პოლიტიკაზე და სხვებზე შემდეგ თავში მექნება ბაასი, ახლა ესეც კმარა.

ზემო თქმულიდან საკმაო ნათლათა სჩანს, რომ ესა თუ ის „ორგანო" ხშირათ „იდენტიურია" ორ და ორზე მეტ **კონკრეტულ** ერთათვის, რომ ერთი და იგივე ერი, მეორეს მხრით, ხშირათ **არა** „იდენტიურ ორგანოთა" მატარებელია. აქედან, დასახელებულ შემთხვევებში ცნება ერის გარკვევის მაგიერ აზრთა სრულ არევ-დარევას ვღებულობთ.

თქმა არ უნდა, ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა რომელსამე ერს ახასიათებს ერთი განსაკუთრებული ენა, ერთი განსაკუთრებული საარწმუნოება, მაგრამ ეს როდი ითქმის ისე დაბეჯითებით სხვა დანარჩენ „ორგანოებზე". ყოველ შემთხვევაში, მე არ მეგულება ისეთი ერი, რომელსაც ეკონომიკა და პოლიტიკა, მეცნიერება და ხელოვნება მეტნაკლებობით **საერთო** არა ჰქონდეს სხვა მეზობელ ერებთან. ავტორის განსაზღვრა ანგარიშს არ უწევს ამ უბრალო, მაგრამ **უპირველეს** გარემოებას, ამიტომ ის მხოლოდ-ღა ცალმხრივათ აღბეჭდავს სინამდვი-

ლეს. ამას თითქო კიდეც გრძნობს ავტორი, მაგ., გზა-და-გზა ასეთ მსჯელობასაც წაატყდებით მის წიგნში: „ერის ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა—საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, **სარწმუნოება, – რომელიც მიუხედავად სხვა ერის სარწმუნოებასთან მზგავსებისა** იმ სოციალურ წრის ელფერი ადევს, სადაც იგი დამკვიდრებულა...'' (129, ხაზი ჩემია). როცორც ხედავთ, ავტორს **მარტო** სარწმუნოება მიუჩნევია ისეთ „ორგანოდ", რომელიც შესაძლოა „ემსგავსებოდეს" მრავალ სხვა და სხვა ერებში, სხვა „ორგანოებზე" კი ისსდუმს, თითქო აქ ყველაფერი რიგზე იყოს.

მაშასადამე, ხსნა არსაიდან ყოფილა!—შეიძლება იფიქროს მკითხველმა. მართლაც-და, თუ ერნი თითქმის ყველაფერში ერთმანეთს წააგავენ, თუ მათ შორის შეუძლებელია ნათელ, დემოკრატიულ ხაზის გასობა, მაშ როგორ გნებავთ ცნება ერის განსაზღვრა, თვით უბრალო ანალიზი? ან კიდევ უფრო გაბედულათ—სჩანს, ერი არც კი არსებობს ფაქტიურათ, მაშ არ-არსებულის განსაზღვრა რომელ ჭკუათ-მყოფელს მოუვა თავში?! ასეთი მსჯელობა ადვილათ ასახსნელია, თუმცა იგი იმავე დროსვე უსაფუძვლოა. პრობლემის სიძნელე კიდევ არ ნიშნავს მის სწორათ გადაჭრის შეუძლებლობას, საგნის გაურკვევლობა კიდევ არ ნიშნავს მის მატერიალურათ არ-არსებობას. ბ. Bâton-მა შეეხო ფრიად მნიშვნელოვან თანამედროვე თემას, მაგრამ თავი ვერ გაართვა მას, ვერ მოერია—აი, თუ გნებავთ, საქმის ნამდვილი ვითარება.

ყოველ სიძნელის წინაშე უკან დახევა—ეს ავტორის „უმშვენიერესი" თვისებაა! ის ძალიან კარგად გრძნობს, რომ მის თხზულების ერთი მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო—**აღმოჩენა სახელმძღვანელ**

პრინციპებისა, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქნებოდა ერთა შორის განმასხვავებელ ნიშნების გათვალისწინება, მაგრამ ის ფრთხილათ გაურბის ამას. უკაცრავათ! — ის თითქო **რ. ავენარიუსის** ე. წ. აღწერილობითს მეთოდს (descriptioe Methoed) იმარჯვებს (!) და წიგნის მე-82-3-ე გვერდზე მოგვიყვება, თუ რა დიდათ განირჩევა ინგლისელთა ოჯახი, მწერლობა, მუსიკა და კიდევ ვინ მოსთვლის— რა **სხვა** ერთა ანალოგიურ მოვლენათაგან. აი, ნიმუშიც: „ოქსფორდის უნივერსიტეტი განსხვავდება ჰეიდელბერგისაგან, პარიზის უნივერსიტეტისაგან; რომ დიდი ბრიტანიის იმპერია რესპუბლიკა არ არის, არც გერმანიის იმპერია,—ეს ხომ ყველასთვის საჩინოა.“ კითხულობ ამ ბალღურ ტიტინს და თანაც „საჩინო“ ხდება რომ ბ. Bàton მართლაც არა „მეცნიერებისათვის დაბადებული“ მას **სულ სხვა** ეხერხება, რა—ამასაც შემდეგ გავიგებთ.

* *
*

მართალია, ბ. Bâton ვერ გამოდგა სერიოზული მეცნიერი, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს მისგან წამოყენებულ ყველაზე უმნიშვნელოვანეს დებულებას სიყალბეს. მე სახეში მაქვს **ერის ორგანიზმობა, სუპერ-ორგანიზმობა** ის ამ დებულებასაც სხვას ესესხება, თავის თავათ მისახვედრია, თუმცა ეს როდი უშლის მას თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქო იგი, დებულება, არც კი მოლანდებოდეთ, არა თუ გამოეთქვათ, მის იდეურ მოპირდაპირეთ... ეს—სხვათა შორის.

ერი ცოცხალი ორგანიზმია, მაგრამ არა იმ აზრით, რასაკვირველია, როგორც რომელიმე ბიოლოგიური არსება. მაგ., ცალკე ადამიანის სულიერ-ხორციელ მთლიანობას და ჰარმონიას ვერასოდეს ვერ მიაღწევს მრავალ

ადამიანთაგან შემდგარი ჯგუფი. ასე რომ ამ მხრივ მარ-
ტოოდენ გარეგნული ანალოგია თუ არსებობს ერსა და
ცალკე ინდივიდს შორის. ერი **სოციალური** ორგანიზმია,
მაშინ როდესაც ინდივიდი **ბიოლოგიური** ორგანიზმია;
პირველის ზრდა-განვითარების კანონები სულ სხვაა, ვი-
ნემ მეორესი.

მაშასადამე, ერის არსებითი მხარე მისი **სოციალობაა**
და ისიც ისეთი სოციალობა, რომელიც უდრის ადამიან-
თა ურთიერთობის იმდენათ მაღალ ხარისხს, რომ ჩვენ
ნება გვეძლევა ერს ცოცხალი, თუმცა **თავისებური** ორ-
განიზმი ვუწოდოთ. ასეთ ორგანიულ ურთიერთობას ჰქმნის
ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფების ერთათ ცხოვრება
საუკუნეთა განმავლობაში; ერთსა და იმავ ბუნების წიალ-
ში, ერთსა და იმავ ფსიხიურ და მატერიალურ მოვლენათა
გავლენის ქვეშ. ერთი და იგივე ფიზიკური და სოცია-
ლური არე ანუ სფერა—აქედან ერთი და იგივე ფსიხიურ-
რი განცდა. ერთი და იგივე თავგადასავალი ხანგლივ
ისტორიულ ქარტეხილში—აქედან ერთი და იგივე სუ-
ლიერი ფიზიონომია, ანუ ხასიათი.

ერთი ერი განსხვავდება მეორე ერისაგან. თქმა არ
უნდა, ერთიცა და მეორეც ორგანიზმი არის და ერთსა
და იმავ მასალისაგან—ადამიანთაგან შემდგარი. არც ისაა
გასაკვირი, რომ მათი მეზობლობა ტერიტორიალურათ,
აგრეთვე მათი სოციალ-ეკონომიურ ვითარების ახლო
მზგავსება მეტის-მეტათ აძნელებს განმასხვავებელ ნიშნე-
ბის გამონახვას, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სპეციფიუ-
რი ნიშნები არსებობს, ეს უტყუარი ფაქტია. ასე წარ-
მოიდგინეთ, ისეთ რთულ შემთხვევაშიც კი, როგორი-
ცაა ორ და ორზე მეტ ერის წევრთა ერთა და იმავ
ენაზე ლაპარაკი, სულაც არაა შეუძლებელი ამ ერთა
ურთიერთ განსხვავების ნათელყოფა სწორეთ **ენის** მხრი-

თაც. ბრიტანელი, ირლანდიელი და ჩრდილო.ამერიკელიც ერთ ენაზე-ინგლისურზე ლაპარაკობენ, მაგრამ თვითეულის გამოთქმა, ბევრ, თვით ლექსთა წყობა, ან კიდევ მრავალ, მხოლოდ **ადგილობრივ** ხმარებულ სიტყვების მომარჯვება მაშინვე გვამცნევს რომელი **რა ერს** ეკუთვნის.

თვითეულ ერსა აქვს მეზობელ ერებთან საერთო, მაგრამ იმავ დროსვე **განსაკუთრებული ისტორია**, **რაიცა ჰქმნის მის განსაკუთრებულ თვისებათ**. ამის მიზეზია არა იმდენათ სოციალურ მოვლენათა სხვადასხვაობა, რამდენათ **ამ მოვლენათა ესა თუ ის კომბინაცია თვითეულ ერში.** ამ გვარათ, ერი არის ადამიანთა უმჭიდროესი შედეგება cohérence მაგრამ თვით ამ შედეგების პროცესი სხვა და სხვა ერში სხვადასხვანაირი ყოფილა და არის, ვინაიდან სოციალურ მოვლენათა კომბინაციები უთვალავია. სხვა რომ არ იყოს, მარტო განვითარების ხარისხი, რომელიც სხვადასხვაა სხვა და სხვა ერში, საკმაო ნათლათ მოწმობს ამას.

ერი არა მარტო ისტორიულ კათეგორია არის, არამედ ის შედარებით ახალ დროის პირმშოცაა. მისი დაფუძნება (Konstituierung), თუ შეიძლება ასე ითქვას, არც ისე დიდი ხანია რაც მოხდა. განა უხსოვარ დროიდან არსებობდა სხვადასხვაობა მოდგმათა, ხალხოსნობათა ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით და სხ., მაგრამ მაშინ ერი მისი **თანამედროვე** გაგებით არსად სჩანდა, არ არსებობდა თვით ეროვნული საკითხიც. ასე იყო საქმე საშვალ-საუკუნოებში, რა უნდა ყოფილიყო მის ადრე!? სოციალობა მაშინაც არსებობდა, რა საკვირველია. მაგრამ იგი იყო **დაბალ** საფეხურის, დაბალ ხარისხის. იგი ემყარებოდა უფრო ოჯახზედ ან უკეთეს შემთხვევაში— თემზედ, გვარზედ ფეოდზედ. ადამიანთა ახლო კავშირი გამოიცნობოდა შთამომავლობით, სისხლით, ან უკეთეს

შემთხვევაში—სარწმუნოებით. უკანასკნელი საზოგადოთ ერთი უშესანიშნავესი სოციალური ფაქტორი იყო მახლობელ წარსულში: **ერთმორწმუნე** ჯგუფნი უფრო ადვილათ უახლოვდებოდენ ერთმანეთს და ხშირათ საერთო ძალით უმკლავდებოდენ საერთო მტერს.

ხალხის ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას ხელს არ უწყობდა სოციალ-ეკონომიური ვითარება. ნატურალურ მეოჯახეობის ბატონობა არ ბადებდა გამაერთიანებელ ლტოლვათ; ფეოდალთა, რომელთა შორის სარწმუნოების უმაღლესნი ქურუმნიც ერივნენ.—**ფეოდალთა** კლასობრივი ინტერესი პირიქით დაქსაქსულობას მოითხოვდა. გავიდა დრო და ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალიზმად: ნატურალური და ამქრული კარ-ჩაკეტილობა ალაგს უთმობს წარმოება და აღებ-მიცემობის ერთი მეორეზე მჭიდროთ გადაბმას და შეუზღუდველ განვითარებას; ფეოდალის კოშკის ნანგრევებზედ აღიმართება აბსოლიუტური სახელმწიფო, დაქსაქსულობა ალაგს უთმობს კონსოლიდაციას... აი, ამ დიად პროცესიდან წარმოიშვა თანამედროვე ერი, ეს ნამდვილი სოციალური ორგანიზმი. *)

და კიდეც ამიტომ ერი, ეროვნება **კულტურული პრინციპია**par excellence. ჩვენ ყველანი მოწმე ვართ დღეს, რომ ეროვნება და კულტურალა მის სინონიმებად იქცენ. ერი ის არის, ვისაც უმაღლესი კულტურა შეუქმნია; კულტურა იქ აშუქებს მძლავრათ, სადაც ეროვნული ცხოვრება სდუღს და გადადის. ჯამი ნივთიერ და სუ-

---

*) მატერიალისტური მეთოდი უებარი საშვალება ყოფილა, როგორც ხედავთ, აგრეთვე ცნება ერის საფუძვლიანათ გასარკვევათ. ბ. Bâton სხვა აზრისაა ამ საგანზე, მაგრამ ეს კიდევ არ უშლის მას სწორეთ **ამ მეთოდის ნასუფრალით** გაუმასპინძლდეს დრო-და-დრო თავის მკითხველს. ა. ჩ.

ლიერ სიმდიდრისა კულტურაა, სხვა არაფერი, ერის ამ. წოდ. გენიოსობაც აქედან წარმოსდგება. აქედან ჭეშ-მარიტი პატრიოტიც ის არის, ვინც კულტურას, ეროვ-ნების ამ გულსა და ღვიძლს იცავს. ჩვენს დრო-ში ერს იცავენ არა შთამომავლობის, არა სარწმუნოების სახელით, არამედ **კულტურის სახელით.**

თვითშეგნება, ინდივიდუალობა, რომელსაც იხსენი-ებს აგრეთვე ბ. Bâton-იც თავის განსაზღვრაში, ყოველ სრულ-ასაკოვან ერის აუცილებელ, თანდაყოლილი თვი-სებაა,—უამისოთ ერი ვერ ეროობს. ის **არაა** ორგანიზმი. სრულ-ასაკოვან ერის თვითეულ წევრს გულის სიღრმე-მდე სწვდება საერთო სამშობლოს ყოველი ფათერაკი, რადგან ამით ფათერაკი მოელის თვით კულტურას, ამ დიად განძს ეროვნულ ცხოვრების დაუცხრომელ სრბო-ლისას, ამ ფერად ბალნარს, რომლის გარეშე მას სული ეხუთება.

ამ რიგათ, თავი და თავი ერში **ფსიხოლოგიური** მომენტია. **ერი არის ისეთი სოციალური ორგანიზმი, რომლის ხორცშესხმულ არსებობას, როგორც ხელ-უხლებელ და განყოფილ ინდივიდუალობისას, ინს-ტიქტიურათ გრძნობენ და ინტელექტუალურათ სჭვრე-ტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

კაცობრიობა.

ბ. Bäton გაგულისებულია. ის დიდ ჭაპან-წყვეტაში იყო, ბევრი ოფლი დაღვარა, საშინლათ მოიქანცა, და აბა რაღა გასაკვირია, თუ ცუდ გუნებაზე დადგა. თუ არა გჯერათ, ჩაიკითხეთ ორიოდე სტრიქონი მის მიერ ცნება ერის განსაზღვრის ქვევით: „აი რა არის ერი. მას კი აბუჩად იგდებენ უვიცნი და ფიქრის არა მქონენი. მათ სურთ კაცობრიობის დიდი სახელით დაჩრდილონ ეს უაღრესი სოციალური სინამდვილე. ხოლო უბედურება სწორედ ის არის, რომ კაცობრიობა ამ სინამდვილესა.“ (131). როგორც ხედავთ, ეს „უვიცნი და ფიქრის ნიჭის არა მქონენი“ რომ არ დაებადნა ღმერთს, ბ. Bâton-ს დიახაც არ დასჭირდებოდა ამდენი წვა-დაგვა და ტვინის გამომლაყველი ჩიჩინი! ხოლო თუ მაინც არ დაგიშლიათ და მოწიწებით მოახსენეთ მას, რომ გინება და ლანძღვა უადგილოა ჯერ კიდევ საპოლემიკო ნაწერებში, არა თუ „მეცნიერულ ტრაქტატში,“—თქვენ ამით ერთგვარ რისკს ეწევით: ავტორი არა თუ არ მოგიბოდიშებსთ, პირიქით უფრო მწარე ისარსაც გტყორცნისთ—„სხვისი ფეხის ამყოლ პიგმეებად“ მოგნათლავსთ! (იქვე).

ესა და ბევრი სხვა „საგონებელი“ ადგილები აშკარათ მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა სერიოზულ მოაზრესთან, ან კიდევ პასუხმგებელ მკვლევართან, არამედ გაწიწმატებულ პამფლეტისტთან, უკეთეს შემთხვევაში—ისეთ პუბლიცისტთან, რომელიც, რუსების არ იყოს, крікпк-ია სიტყვა-პასუხში. მეცნიერს სძლია პუბლიცისტმა, პუბლიცისტს—პამფლეთისტმა.

ავტორის ამ უგუნებობასა და ერთობ მწყრალ სუ-

ლის-კვეთებას ზედმიწევნით შეეფერება თვით მიზანი მისი შრომისა მართალია, მან იმ თავითვე დაგვაიმედა, რომ ის გაარჩევდა მთელი სიგრძე-სიგანით „**რა არის კაცობრიობა და რა არის ერი**“ მაგრამ ეს **არაა** ფაქტიურათ მისი ზრახვა და წადილი,—მას ნიშანში ამოუღია და სიმძიმის მთელი ცენტრი დაუმყარებია მეორე კითხვაზედ—„**შეეწირება თუ არა პირველს მეორე,**“ ე. ი. კაცობრიობას ერი?

საქმე იმაშია, რომ ჩვენს კულტურულ ქვეყანაში აღმოჩენილან ისეთი თავზე ხელაღებულნი, ისეთი „პიგმეები“, რომელთაც არც კი უწამებიათ ერი, სამაგიეროთ კაცობრიობას გაგორებიან წინ! და ეს თავხედობაც რომ არ უკმარებიათ, ცოცხალი ერი დაუკლავთ და „თავ-ფეხ-კუჭიანათ“ უსულო კერპის—კაცობრიობის საკურთხეველზე დაულაგებიათ! განა მოსათმენი და შესაწყნარებელი იყო ასეთი უკულმართობა? არა, რა საკვირველია, და... მოგვევლინა ზეცით ვინმე მჭუხარა, მყრობელი უშველებელ Bâton-ისა ანუ ჯოხისა, ჩვენებურათ, და ქადაგებს—,,**ერი არსებობს, კაცობრიობა არ არსებობს,**'' ერი არის ღმერთი და Bâton მისი წინასწარმეტყველი!

ასე თუ ისე, მან დიდი განძი შესძინა მეცნიერებას, ვინაიდან ერთხელ და სამუდამოთ დაამტკიცა ერის არსებობა ქვეყანასა ზედა! განა ვინ უარყოფდა ერის არსებობას?—შეიძლება აზრათ მოუვიდეს ვისმეს. **არც არავინ**, მაგრამ აკი დავინახეთ, ბ. Bâton სულაც არ ხუმრობს, რა ეხუმრება—ბრაზდება კიდეც, რომ ასეთი „უჯერო თომანი“ თმის სისქე ყოფილან ჩვენში.

მაშ ახლა კბილი გაუსინჯოთ ავტორის მსჯელობას „არ არსებულზე“—კაცობრიობაზე.

მე ერთ ალაგას შევნიშნე, რომ ავტორს სჩეევია

ჰიპერბოლური აზროვნება. ყოველსავე აზრის და ფენომენ-ლების მეტის-მეტათ გადაჭარბება-გადამლაშება მის თანდაყოლილ და აღმოუფხვრელ თვისებას წარმოდგენს. აქაო-და, ვინაიდან კაცობრიობას არ მოეპოვება „ორი უპირველესი თვისება:“ ერთი საერთო **ენა** და **სახელმწიფოებრიობა** (80, ესეც მეორე ახალი აღმოჩენა!), ამიტომ კაცობრიობა, ავტორის აზრით, უბრალო სოციოლოგიური ცნებაც კი არა ყოფილა თურმე. აი, დაუგდეთ ყური თვითონ მას. კაცობრიობა მილიარდ-ნახევარ ადამიანთა უბრალო ჯამია, ამბობს ავტორი, და ამას ისე ხსნის: „რა საკვირველია, თუ არსებობს ცალკე ადამიანი, თუ არსებობენ ცალკე ადამიანები, მათი საერთო რიცხვის არსებობაც სინამდვილეა,—ამ მხრით მაშასადამე, კაცობრიობაც არსებობს, მაგრამ ამგვარადვე არსებობენ **მაიმუნები, ლომები, არწივები,** არსებობს მათი საერთო რიცხვი, არსებობს ამ ცხოველთა სახე, როგორც ყველა სხვა ცხოველთა, მაგრამ ეს ვერც იქა (აქა?) ჰქმნის **ვერავითარ სოციალურ მოვლენას.** და თუ ასეთი თვალსაზრისით განვიხილავთ კაცობრიობას, ვერასოდეს ვერ გამოვალთ **ბიოლოგიურ და ანთროპოლგიურ** კვლევათა წრიდან, რადგანაც ადამიანი, როგორც Homo Sapiens, ამ მეცნიერთა საგანია, და არა იმ მეცნიერებისა, რომელიც იკვლევს სოციალობის განსაკუთრებულ მოვლენათა ხასიათსა, სოციალურ პროცესს,—იგი არ არის საგანი სოციოლოგიის მეცნიერებისა.“ (55—6, ხაზი ჩემია).

ამ გრძელ ტირადის მოკლე აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაცობრიობასა, ერთის მხრით, და დანარჩენ ცხოველთა სამეფოს შორის, მეორეს მხრით, სრული ანალოგია არსებობს. თავის თავათ მისახვედრია, ადამიანი, როგორც ყველა სულდგმულ არსთა ერთ-

ერთი უმაღლესი სახე, როგორც Homo Sapiens, მარტო-
დენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა სფერას ეკუთვნის, მა-
გრამ ეს საანბანო რამე როდია საინტერესო.... საინტე-
რესო ისაა, რომ ავტორს ამაზე **გაცილებით მეტ** რამის
დამტკიცება მოუწადინებია, და მკითხველიც სწორეთ
ამას უნდა დააკვირდეს ბეჯითათ. მართლაც და, რას
გვეუბნება ავტორი? იმას, რომ კაცობრიობის შემადგე-
ნელ ადამიანთა შორის მზგავსათ მაიმუნ-ლომებ-არწივე-
ბისა **უადგილოა და შეუძლებელი** ყოველივე „განსაკუ-
თრებული სოციალური მოვლენა," რომ ისინი მა-
რტოოდენ ერთ-ერთ ბიოლოგიურ სახეს ეკუთვნიან და
ამიტომ მათი სათითაოთ და ერთათ (ადამიანი-კაცობრი-
ობა) აგრეთვე სოციოლოგიურათ განჭვრეტა დიდი უხი-
ოობაა, მეტი ბრაფერიო. მაშ რად დააწერა ავტორმა
თავის თხზულებას სათაურად: **„ერი და კაცობრიობა**, გა-
ნხილულნი **სოციოლოგიური** მხრით"?—შეიძლება იკი-
თხოს ვინმემ სრულის სამართლიანობით. განა ვინ იხი-
ლავს ცხოველთა მოდგმას, მაგ.: მაიმუნებს, ლომებს,
არწივებს სოციოლოგიური მხრით?! არავინ. ადამიანთა
ერთი ჯამი (ერი) ჰქმნის სოციალობას, ხოლო იმავ
ადამიანთა მეორე ჯამი (კაცობრიობა) არა ჰქმნის სო-
ციალობას, აქედან—ასკვნის ვტორი,—ერი **სოციოლო-
გიური** ცნებაა, ხოლო კაცობრიობა **ბიოლოგიური
ცნება**! აი, სწორეთ ამაზე იტყვიან--ბაყაყმა იბერა, იბე-
რაო და.....

ჩვენს ავტორს თან დაყოლილი აქვს აგრეთვე **მეორე**
უკურნებელი სენი—ესაა აბსოლიუტურათ მსჯელობა, მი-
სთვის არ არსებობს რელატივური აზროვნება, ან სხვა
სიტყვით—ამა თუ იმ მოვლენის რელატივურათ წარმო-
დგენა. ჩვენ ვამბობთ, და სრულიად სამართლიანათაც,
რომ კაცობრიობა არ წარმოადგენს ისეთ „გარეგნულათ

მოწესრიგებულ და სოციალურ ორგანოთა“ მატარებელ აგებულობას, როგორც ერი, მაგრამ ასეთ მსჯელობას თავისი გონიერი საზღვარიცა აქვს, რაიცა მოასწავებს იმას, რომ მოყვანილი დებულება მხოლოთ-ღა **რელატივურ** ხასიათისაა, არც მეტი, არც ნაკლები. ერი თავდაცმული გუდა როდია, რომლის შიგნიდან და გარედან თითქო უბრალო სიოსაც არ გაეჭაჭანებოდეს. არა, ის მუდამ ღიაა და თანაც მეტის-მეტათ ‘ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐᲠᲔ გარეშე გავლენათა შესათვისებლათ. ყოველი სოციალური მოვლენა, მის არსში დატრიალებული, ერთსა და იმავ დროს დამახასიათებელიცაა მისთვის და შეიძლება არც იყოს, რამდენათ ესა თუ ის მოვლენა მზგავსია ანუ იდენტიური აგრეთვე მეორე და მესამე ერისათვის. ყოველ სოციალურ მოვლენას აქვს, ასე ვთქვათ, გაგანიერების შეკუმშვის თვისება: იგი დიდდება, ერთ შემთხვევაში, კარგავს მეტ-ნაკლებობით ადგილობრივს, ეროვნულ ფიზიონომიას, მას ვერ იტევს მის წარმომშობ ერის ფარგლები და ხდება, თუ კაცობრიობის არა, მრავალ ერთა კუთვნილებად; იგი პატარავდება, მეორე შემთხვევაში, ე. ი. თან და თან იცლის გარედან მოცხებულ ნიშნებს, იძრობს ძველ ქერქს და ეხვევა მთლათ ახალ ეროვნულ სამოსელში,—მაშინ ის ერთი ერის კუთვნილებაა. მაგრამ ორთავე კათეგორიის მოვლენანი მხოლოდ და მარტო რელატიურათ უნდა გვესმოდეს, რადგან ისინი მუდმივ ცვალობადობის და გარდაქმნის პროცესში იმყოფებიან.

ამ განყენებულ მსჯელობის ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ **ერთფეროვნებას** ერთის მხრით, და **მრავალფეროვნებას** მეორეს მხრით, არა აქვს დასაბამი და არც დასასრული ადამიანთა საკაცობრიო თუ საეროვნო ცხოვრებაში. ავტორს არა სჯერა ეს და ამბობს—მრავალფერო-

ვნება დაუსრულებელია, ხოლო ერთფეროვნება **არც შესაძლებელია და არც სასურველია.** (306—371). ავტორი ურევს აქ ერთმანეთში ორ სხვა და სხვა პრინციპს: ფილოსოფიურ-აბსოლიუტურს და მეცნიერულ-რელატივურს. პირველი, ე. ი. ფილოსოფიურ-აბსოლიუტური პრინციპი მართლაც უარყოფს ერთ ფეროვნებას, რადგან ქვეყნის კიდით-კიდეზე **არ მოიპოვება** ამ თვალსაზრისით, ორი **სრულიად იდენტიური** საგანი თუ მოვლენა; მეორე ანუ მეცნირულ-რელატივური პრინციპი-კი ღაღადებს, რომ **ურიცხვია** სწორეთ **იდენტიური** საგნები თუ მოვლენანი. ეს ორი პრინციპი თანაბრათ სამართლიანია, მაგრამ თანაბრათ როდია ნაყოფიერი. პირველს საქმე აქვს აბსოლიუტებთან, ხოლო მეორეს რელატივებთან. ვინ არ იცის, სოციოლოგნი ამყარებენ თავიანთ საბოლოო დასკვნებს სოციალურ მოვლენათა გამოკვლევა-შესწავლაზედ, ხოლო რაში გამოიხატება ეს კვლევა-ძიება, თუ არა იმაში, რომ ისინი უფარდებენ ერთმანეთს ხსენებულ მოვლენათ, აწესებენ მათ შორის **მზგავსებას და ვანსხვავებას:** თვით მოვლენათა უბრალო კლასიფიკაციაც ხომ შეუძლებელია უამისოთ. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ სოციალურ მოვლენათა მრავალფეროვნებასთან ერთათ უთუოთ **დაშვებულ** უნდა იქნას აგრეთვე მათი ერთფეროვნებაც. თუ ესა თუ ის სოციოლოგი ერთმანეთზე აწებებს ორს და მეტ მოვლენებს და აქედან რაიმე მეცნიერული დასკვნა გამოჰყავს,—ეს იმის მომასწავებელია, რომ ის ამ შემთხვევაში მოვლენათა **იდენტიტობის** ანუ **ერთფეროვნების** თვალსაზრისიდან გამოდის. მაგრამ ერთ წუთშიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ხსენებული ერთფეროვნება მარტოოდენ რელატივურ ხასიათისაა, რომ ბოლოს და ბოლოს

ჩვენ საქმე გვაქვს **მზგავსებასთან და არა ერთ-იგივ-ბასთან.**

ვინაიდან ამ თეორიულ სჯა-ბაასს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს შემთხვევაში, ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა ხნით კიდევ განვაგრძო ის. ცნობილია, მაგალითათ, ამერიკელმა გამოჩენილმა სოციოლოგმა მორგანმა დაწვრილებით გამოიკვლია და შეისწავლა ირიკეზთა ცხოვრება, მათი ადათნი, ზნე-ჩვეულებანი, ოჯახური თუ გვაროვნული განწყობილებანი და სხვა და სხვა არა ნაკლებ ცნობილია ისიც, რომ მორგანის თხუზულების გამოქვეყნების შემდეგ მეცნიერებმა ბევრი განმაცვიფრებელი მზგავსება დაინახეს ირიკეზთა, ერთის მხრით, და ძველ ბერძენთა, გერმანელთა და სხვა ხალხოსნობათა ცხოვრებას შორის, მეორეს მხრით. ამის შემდეგ დიდათ განვითარდა პირველყოფილ კულტურის შესწავლის საქმე. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ველურების და ბარბაროსთა ცხოვრების შესწავლა დიდათ გვეხმარება თვით ჩვენი უხსოვარ წარსულის გასათვალისწინებლათ და შესაგნებათ. მაგრამ იბადება კითხვა, რაზედ ამყარებენ კულტურის ეს აუარებელნი მეისტორიენი და სოციოლოგნი თავიანთ უთვალავ ტომებში გამოთქმულ დასკვნებს? იმაზედ, უეჭველათ, რომ **დაახლოვებით მზგავსი ვითარება იწვევს დაახლოვებით მზგავს შედეგებს,** ან სხვა სიტყვით—მოდგმანი მიუხედავათ მათი მრავალ-ფეროვნებისა ძალიან ხშირათ **ერთფეროვან** სოციალურ მოვლენათ წარმოშობენ ხოლმე. ჩვენ ვიცით, მაგალითათ, რომ მწყემსური ცხოვრება მრავალ სხვა და სხვა მოდგმაში დაახლოვებით ერთგვარ ზნესა და ადათს აბატონებს, რომ პატრიარქალურ ხანაში დაახლოვებით მზგავსი უფლებრივი და ნათესავური წარმოდგენა სუფევდა გეოგრაფიულათ ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ თემებში.....

მაგრამ რაღა გავაგრძელო, განა ბ. Bäton-სკი შეძლო თვითეულ კონკრეტიულ ერის ინდივიდუალობაზე სჯა-ბაასი, უბრალო კრინტის დაძვრაც კი, თუ ის იმავ დროსვე სრულიად უარყოფითათ მოეპყრობოდა სოციალურ მოვლენათა ერთფეროვნებას? განა თვითონ ის არ ამტკიცებს, რომ ერთ რომელსამე ერის წევრნი **ემგზავსებიან** ერთმანეთს ტიპით, ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით.....? განა ეს არსებითათ **იგივე** არ არის, რასაც ზევით ვამბობდი? ახლა მოვიმარჯვოთ ავტორის მიერ დაჩემებული ცალმხრივი ე. ი. **აბსოლიუტურ** თვალსაზრისი და ახლო დავაკვირდეთ მის მსჯელობას ერზე: **არ არსებობს ორი იდენტიური მოვლენა**,—მაშ საიდან გამოატყვირა ავტორმა ერის არსებობა?! რისი მაქნისია, მაგალითათ, ამა თუ იმ ერის წევრთა რაღაც ორგანიული, ფსიხიური კავშირი, როცა თავის თავათ ცხადია, რომ სწორეთ ეს წევრნი სათითაოთ **დიდათ განსხვავდებიან** ერთმანეთისაგან, როცა თვითეული მათგანი **სრულიად თავისებური და განსაკუთრებული პიროვნებაა**? ამ გვარათ, ცხადია, რომ ავტორის ვითომდა მეცნიერული თვალსაზრისი ძირიანფესვიანათ არღვევს ერის მთლიანობას, მის „სუპერ—და ჰიპეროორგანიზმობას“, რაიცა თვით მისივე „ყოფნა-არყოფნის“ საკითხია.

საზოგადოთ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არამც თუ ერის საფუძვლიანათ გარკვევა, არამედ ყოველგვარი სოციალური მეცნიერებაც კი ფუჭი და უნაყოფო წყლის ნაყვა იქნებოდა, ბ. Bàton-ის **აბსოლიუტურ** აზროვნებას რომ მეცნიერთა შორის ფეხი მოეკიდნა. სოციოლოგია ცდილობს, სხვათა შორის, მოვლენათა მიზეზ-შედეგის გამონახვას და მით კანონ-შეწონილობის (закономѣрность) დაწესებას საზოგადოებრივ ცხოვრე-

ბაში მაგრამ თუ რაიმე ეგრ. წოდ. მეცნიერულ კანონ-ზე შეიძლება სოციოლოგიაში ლაპარაკი,—ეს მხოლოდ და მარტო იმ აზრით, რომ არსებობენ იდენტიური ანუ ერთფერი სოციალური მოვლენანი, რომელთა ესა თუ ის **თანაბარი** კომბინაცია იწვევს სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ალაგას ამა თუ იმ **თანაბარ** შედეგებს. აქედან, მრავალ-ფეროვნებაში ისეთნაირათვე გამოსჩვივის ერთფეროვნება, როგორც ერთფეროვნებაში მრავალ-ფეროვნება, თვითეული ეს ცნება რელატიურ ხასიათის და მნიშვნელობისაა და ჩვენც ასე უნდა გვესმოდეს ისინი.

მაშასადამე, ვიხელმძღვანელოთ ამ ერთად ერთ მეცნიერულ-რელატივურ თვალსაზრისით და ახლა დავაკვირდეთ ავტორის მსჯელობას კაცობრიობისა და ერის შესახებ.

როცა ჩვენ ვამბობთ კაცობრიობის ფორმალურ-იურიდიულათ არ-არსებობაზე, ამით ჯერ კიდევ არ მტკიცდება თითქო კაცობრიობა მის შემადგენელ ადამიანთა უბრალო სუმა იყოს და მეტი არაფერი. ჩვენ ვამჩნევთ სინამდვილეში ამა თუ იმ ხარისხის **უტყუარ სოციალობას** აგრეთვე კაცობრიობის შემადგენელ ცალკე ადამიანთა თუ იმავ ადამიანთა მთელ ჯგუფებ შორის.

მაგრამ.... სწორეთ აქ წამოიჭრება ბ. Bàton და მოგვიყვება თავისებურ დიაკვნურს ეგრ. წოდ. „კაცობრიობის ფონდის“ შესახებ. (262—307). კაცობრიობა რაღაც ნახევარ მილიარდ კულტუროსან ევროპიელთაგან მარტო როდი შესდგება—გვეუბნება გაწიწმატებული—, ავტორი, არამედ მასში შედის აგრეთვე მთელი მილიარდი **არა-ევროპიელთა** ეს ვეება „ფონდი კაცობრიობისა“, რომლის ნაწილნი კულტურის სხვა და სხვა საფეხურზედ დგანან—ველურობიდან დაწყებული ძალზე განვითარე-

ბულ რთულ საზოგადოებრივობა—, და რომელნიც, მიუ-
ხედავათ ამისა, ან უკეთ—**უფრო ამიტომ** სრულიად არ
იმყოფებიან რაიმე **სოციალურ** დამოკიდებულებაში პირ-
ველათ დასახელებულ ევროპიელებთან. აბა დაამტკი-
ცეთ—გვიწვევს შუაგულ მოედანზე ავტორი—ბუშმენ—
ჰოტენტოტთა, ერთის მხრით, და ევროპიელთა შორის,
მეორეს მხრით, რაიმე სოციალობა! არა, ამას ვერ დაამ-
ტკიცებთ!—ხმას იმაღლებს ავტორი და დაასკვნის: რას
მიქვიან კაცობრიობაზე ლაპარაკი მანამდე, „სანამ სულ
მთლად არ ამოიწურება ფონდი კაცობრიობისა და მთე-
ლი მილიარდ-ნახევარი კაცობრიობა დაახლოვებით ერთ
კულტურულ სფეროს არ წარმოადგენს“! (304)

მე არ გამოვუდგები ავტორის ამ აურ-ზაურს და
მხოლოდ მოწიწებით დავუყენებ მას ერთად ერთ კით-
ხვას: რას იტყვის ის, თუ მაგ., ევროპიელნი, სახელდობრ
ორ და მეტ ერთა შემადგენელი ადამიანები, ან მთელი
ჯგუფნი ადამიანთა სწორეთ **სოციალურ** დამოკიდებულე-
ბაში იმყოფებიან ერთმანეთან? ვთქვათ, არიან „სოცია-
ლური მოვლენანი“, რომელნიც **საერთოა** როგორც ინ-
გლისელისთვის, ისე ფრანგისათვის, როგორც გერმანე-
ლისთვის, ისე იტალიელისათვის,—რას იტყოდა ავტორი
ამ შემთხვევაში, ან უკეთ—რა მოუვიდოდა მის ერთად
ერთ სანუკარ დებულებას: **ერის იქით სოციალობა არ
არსებობს?** ბუშმენნი და ჰოტენტოტნი მივუშვათ მათ
უდაბნოებში, ნუ გვინდა მათი გაწყინება! მე ვფიქრობ,
ავტორის ამ დებულების დასარღვევათ სულაც არაა სა-
ჭირო კაცობრიობის სოციალურ მთლიანობის დამტკი-
ცება, ამ მიზნის მისაღწევათ სრულიად საკმარისია დამ-
ტკიცდეს, რომ ადამიანთა სოციალობა შესაძლებელია
აგრეთვე ეროვნულ ზღუდეთა გადალმა. არსებობს თუ
არა რაიმე სოციალობა ამა თუ იმ კონკრეტიულ ერის

ფარგლების გარეშე?—აი ის კარდინალური კითხვა, რომ-
ლის გარშემო ტრიალებს დავა, და მეც აქეთკენ მივაქ-
ცევ მკითხველის ყურადღებას. დავიწყოთ უმარტივესიდან.

ჩვენ დავინახეთ, ავტორს დიდათ მოაქვს თავი იმით
რომ კაცობრიობა მოკლებულია ერის „ორ უპირველეს
თვისებას“: ერთ **საერთო** ენას და სახელმწიფოებრივობას.
კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამით სულაც არ მტკიც-
დება, რომ ეს ორი თვისება ყველგან და ყოველთვის
მარტოოდენ ერთ განსაძღვრულ ერის **ნიშნობლივ** მხარეს
წარმოადგენდეს. ბრიტანელნი და ირლანდელნი, მაგ., **ორ
სხვა და სხვა** ერში შედიან, მაგრამ მათ აქვთ **ერთი
საერთო** ენა, ინგლისური! მეორეს მხრით, შვეიცარიის
სამი სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი **ერთ სა-
ერთო** სახელმწიფოებრივობის ჭერ ქვეშ იმყოფებიან. ამ ორ
მაგალითით, რომელთა გამრავლება დიახაც შესაძლებელია,
ნათლათ მტკიცდება ის, რომ ესა თუ ის განსაზღვრუ-
ლი ენა ზოგჯერ სცილდება ამა თუ იმ ერის ჩარჩოებს,
ვინაიდან ის საერთოა ორ და მეტ ერისათვის, რომ არც
სახელმწიფოებრივობა ყოფილა ისეთი რამ თილისმა,
როგორათაც ავტორს წარმოუდგენია, ვინაიდან მის
ფრთებს ზოგჯერ თავს აფარებს ორი და მეტი ერი. ენა,
ავტორის სიტყვით, ერთ-ერთი „უმშვენიერესი სოცია-
ლური მოვლენა“ არის, მეორეს მხრით, სახელმწიფოებ-
რივობის ქვა-კუთხედი **სამართალი** არის,– ესეც მეორე
„სოციალური მოვლენა“, იმავე ავტორის თანახმათ....
დასკვნა? ერის გადალმაც არსებობენ თურმე სოციალო-
ბის ესა თუ ის მოვლენანი და ავტორი ტყულათ ცდი-
ლობს ამის წინააღმდეგის დამტკიცებას. სარწმუნოებაც
ხომ ამ კათეგორიას ეკუთვნის: ისიც „სოციალური მოვ-
ლენაა“ და თანაც **საერთო** მრავალ **სხვა და სხვა** ერთა-
თვის. მეტია ამაზე შეჩერება.

გადავიდეთ უფრო უთანხმოებაზე. კაპიტალიზმი, ეს ის წესწყობილება, რომელიც მეტ-ნაკლებობით გაბატონებულა ევროპის ყველა ერებში და რომელსაც აგრეთვე მეტ-ნაკლებობით ყველგან ერთნაირი შედეგები გამოუწვევია. ავტორი არ უარყოფს ამას და ამბობს, „მსოფლიო კაპიტალიზმის“ მეოხებით „იდენტიური ეკონომიური მოვლენა გაჩნდა ყველა საზოგადოებაში“-ო. მაგრამ შემდეგ სტრიქონებში ის ცდილობს თავისივე თქმულის გაქარწყლებას: „მსოფლიო კაპიტალიზმი ბოლოს და ბოლოს ყველგან **ეროვნულ კაპიტალიზმს** ჰქმნისო“, ხაზს უსვამს ავტორი და ამის დასამტკიცებლათ იმოწმებს **პეტრე კოპოტკინს**, რომელმაც აღნიშნაო „თვითოეული ერის ტენდენცია თავისი სამყოფი სიმდიდრე თვითონვე დამოუკიდებლად აწარმოვოს“ და მით „თანდათან“ ბოლო ეღება „ერთა შორის შრომის განაწილებასო“. ავტორი უფრო შორსაც მიდის და ამბობს: „გარდა ამისა, ეკონომიური მოვლენა წარმოუდგენელია გარეშე ეროვნულ მოწესრიგებისა. ყოველი კაპიტალიზმი ამ მხრით ეროვნულია, და მსოფლიო კაპიტალიზმი, მსოფლიო ბაზარიც ამ მხრით არ არსებობს, რადგანაც არ არის მსოფლიო მოწესრიგება კაპიტალიზმისა,—არც მსოფლიო წარმოებისა, არც ბრუნვისა და არც ხმარებისა.“ ავტორი იმოწმებს **კარლ ბიუხერსაც** და ამბობს: „ისევ განახლდა ახალის ძალით პროტექციონიზმი, დარჩა ხმარებაში ეროვნული ფული. აგრეთვე ეროვნულია და არა საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობა, დაზღვევა მუშათა, საბანკო პოლიტიკა და სხვ.“ (182—3).

ავტორი ჩვეულებრივ ერთმანეთში ურევს სწორსა და ყალბ აზრებს, და მით აყენებს ერთ უშველებელ კორიანტელს, რომელსაც ის ვერც თავსა და ვერც ბოლოს ართმევს. მსოფლიო კაპიტალიზმი, ავტორის აზ-

რით, არსებობს და თანაც არ არსებობს: იგი არსებობს, ვინაიდან მას ყველგან „იდენტიური“ მოვლენა გამოუწვევია; იგი არ არსებობს, ვინაიდან მას „მოწესრიგება“ აკლია. ძალიან კარგი, მაგრამ ავტორს ავიწყდება, რომ ეს ორი „ვინაიდან“ ორი **სხვა და სხვა** ჭურის ღვინოა და მათი ერთმანეთში არევა ისეთ „ქიმიურ რეაქციას“ გამოიწვევს; რომ არა მგონი სხვა ვისმეს, გარდა ავტორისა, მისი დალევა მოსწყურდეს.

თავი დავანებოთ ავტორის „კადრილს“ არსებობა-არა რსებობის შესახებ, ეს მის განსაკუთრებულ ლოგიკის სფერაში შედის, — მე ვკითხავ მას მოწიწებით, რატომ არ ინება მან აეხსნა მკითხველისათვის — რაში მდგომარეობს **არა-იდენტიური** მოვლენები, რომელნიც, მისი აზრით, „ჰქმნიან ეროვნულ კაპიტალიზს“? მან თქვა და, შეიძლება, კიდეც ნანობს ახლა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი ყოველ ერში იდენტიურ მოვლენათ იწვევს; ახლა საჭიროა გამოირკვეს, როდის და როგორ ქცეულან ეს მოვლენანი არა-იდენტიურად. ან შეიძლება მისგან დასახელებული მაგალითები **სამაგალითოთ** მიუჩნევია მას?! ელემენტებია ის, რომელთაგან ინასკვება ეროვნული კაპიტალიზმი? ყოველი ერი ცდილობს მისთვის საჭირო ნივთები თვითონვე შეჰქმნას, ყოველი ერი უბრუნდება პროტექციონიზმს, ყოველი ერი ჰქმნის საკუთარ მუშათა კანონმდებლობას და სხ., — ასე დარბაისლობს ჩვენი ავტორი, მაგრამ მას ერთხელაც არ მოსვლია თავში, რომ ყველა ამით ის ამტკიცებს მხოლოდ და მარტო იმას, რისი დარღვევა მას მოუწადინებია! მართლაც-და, ყველა ერთათვის იდენტიური გამხდარა წარმოება, ბრუნვა, ხმარება, კანონდება, პოლიტიკა...აქედან იდენტიური ყოფილან მათთვის ეს სოციალური მოვლენანიც, ergo —მსოფლიო კაპიტალიზმი მოჰორილი ზღაპარი არ ყო-

ფილა! მე ეს სულაც არ მითქვამს! — შემოსმიბღვერს ავტორი — დიახ, არ გითქვამთ, მაგრამ თავი და თავი სწორეთ ისაა, რომ თქვენ ერთი გსურთ, ხოლო თქვენგან მოყვანილ ფაქტებს კი მეორე. თქვენთვის სავალდებულო იყო დაგემტკიცებინათ, რომ ერთი ერის კაპიტალიზმი **არსებითათ სხვაა**, ვინემ მეორე ერის, რომ კაპიტალისტური წარმოება-განაწილება, საბანკო სისტემა — პროტექციონიზმი, მუშათა კანონმდებლობა და ბევრი სხვა ყველა ერთათვის **ერთსა და იმავ პოლიტიკა-ეკონომიურ პრინციპებზედ არ ემყარებიან.** და სანამ ეს **ძირითადი** განსხვავება არ აღმოუჩენია ავტორს სხვა და სხვა, კაპიტალისტურ წესწყობილებით ცნობილ ერებ შორის, მანამ მისი ღაღადი რაღაც **განსაკუთრებულ** და თვითეულ ერისთვის სრულიად **ორგინალურ** კაპიტალიზმზე ფუჭია და უნაყოფო.

არის კითხვის მეორე მხარეც — ეს ის, რომ „ეკონომიური მოვლენა წარმოუდგენელია გარეშე ეროვნულ **მოწესრიგებისაო**“ (ხაზი ჩემია). ეს აღმოჩენა მარტოოდენ ავტორის შორსმჭვრეტელობას უნდა მიეწეროს, ბა სხვას ვის მოუვიდოდა იგი თავში? მთელი მე-XIX-ე საუკუნის განმავლობაში სოციალისტ-კომუნისტთა ყველა ჯურის წარმომადგენელნი იმას გაიძახოდენ, რომ კაპიტალიზმს ყველგან და ყოველ ერში მოწესრიგება აკლია, რომ ის იწვევს არა-ნორმალურ წარმოებას და არა-ნორმალურ განაწილებას, რომ სრული ანარქია გაბატონებულა და საჭიროა ბოლო მოეღოს ამ უწესრიგობას.... და ახლა გამოდის ალაროდიელთა ერთი „უმშვენიერესი“ ნაშხეპი და ქვეყანას არწმუნებს „ეკონომიური მოვლენა ეროვნულათ მოწესრიგებულიაო“! აიღეთ თვით არა-სოციალისტური წრე: განა ფიზიოკრატნი თეორიულათ არ ამართლებდენ ამ თავ-აშვებულ

ანარქიას წარმოებისას და განაწილებისას? განა მერკანტილისტნი არ ლამობდენ, მეორეს მხრით, იმავ ანარქიის რამდენათმე მაინც შეზღუდვას? მაგრამ რაღა გავაგრძელო, ყველა ჯურის ანარქიზმიც ხომ ამ სოციალ-ეკონომიურ ანარქიის პირმშო შვილია, ხოლო ავტორს, როგორცა სჩანს მის თხზულების წინასიტყვაობიდან, ანარქიზმთან ძალიან ახლო ნათესაობა ჰქონია და აბა რათ უნდა გვიკვირდეს ანარქია თვით მის აზროვნებაში! უამისოთ ის უეჭველათ მიხვდებოდა, რომ ეროვნული მოწესრიგება და ეროვნული კაპიტალიზმი ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პრინციპია. სოციალ-ეკონომიურ სფერის მოწესრიგება უარყოფს კაპიტალიზმს და აწესებს მის ანტიპოდს—სოციალიზმს. სწორეთ ამიტომ ებრძვიან მას, მოწესრიგებას, ასე გააფთრებულათ ყველა ერთა მყვლეფელნი კლასნი, და ასე გულადათ ექომაგებიან მას ყველა ერთა გაყვლეფილნი კლასნი. ეგრ. წოდ. სოციალური კანონდება, რომელიც შემოაქვთ იმავ გაყვლეფილ კლასთა დასაშოშმინებლათ, რა საკვირველია, არ წარმოადგენს მოწესრიგებას, ის მხოლოთ წვეთია მოუწესრიგებულობის ზღვაში, მეტი არაფერი. მაშასადამე, **არ არსებობს არც მსოფლიო და არც ეროვნული მოწესრიგება კაპიტალიზმისა** და აქედან აბსურდია ასეთ არგუმენტაციის მოშველება **მსოფლიო თუ ეროვნულ კაპიტალიზმის არ სებობა-არარსებობის** დასამტკიცებლათ.

თუ რამე მოწესრიგებაზე შეიძლება ეკონომიურ სფერაში ლაპარაკი—ეს არის **მოთხოვნა და მიწოდება** (Nachtrage und Angebot, спросъ и предложеніе). კაპიტალიზმს ყველგან და ყოველთვის ახასიათებს დამზადება საქონლისა და მისი თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა. თავისუფალი მწარმოებელი ჰქმნის ამა თუ იმ საგანს **გასასყიდლათ** და არა თავისთვის მოსახმარათ, ამიტომ

მას მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ბაზართან, სადაც იგი ხვდება მრავალ სხვა მწარმოებელთ, რომელთაც **იგივე** საქონელი გამოუფენიათ, რაც მან თვითონ დაამზადა. ასეთ პირობებში მთავარი მომწესრიგებელი ინსტანცია უეჭველათ მოთხოვნა-მოწოდება არის. თვითეული მწარმოებელი ცდილობს ვარაუდათ მაინც გამოითვალოს, რამდენი საქონელი უნდა დაამზადოს მან თავის წილად განსაზღვრულ დროის განმავლობაში, რომ ხსენებულ საქონლის საერთო მოთხოვნა და მოწოდება დაახლოვებით **თანაბარი** დარჩეს. ახლა ხომ მრავალსაგან მრავალი სასტატისტიკო დაწესებულებანი და გამოცემები არსებობენ მხოლოდ მარტო იმ მიზნით, რომ სათითაოთ ყველა საქონელთა მოთხოვნა და მიწოდება შეუწონონ ერთმანეთს და მით მეცნიურულათ დამუშავებული დირექტივები მიაწოდონ მწარმოებელთ.

ხოლო კაპიტალიზმმა არ იცის **ეროვნული** საქონელი. შეიძლება ითქვას, მაგ., ჩინეთის ჩაი, ოსმალეთის თამბაქო, კუბის სიგარი და სხ., და ეს მარტოოდენ იმ აზრით, რომ ჩაი ჩინეთის **პროდუქტია** თამბაქო ოსმალეთისა და სხ. მაგრამ იმ წამს, რა წამსცა ეს პროდუქტნი გასაყიდათ გამოუტანიათ, რაიც მოასწავებს მათი **საქონლათ** ქცევას, ისინი უკვე კარგვენ ყოველგვარ ეროვნულ თუ გეოგრაფიულ ხასიათს და წარმოგვიდგებიან განსაზღვრულ შრომის, აქედან-განსაზღვრულ ღირებულების მატარებელ საგნებად, რომელთა შორის მხოლოთ რაოდენობითი განსხვავებაა და არა თვისებითი. მართლაც-და, ჩინეთის ჩაი, ოსმალეთის თამბაქო და კუბის სიგარი მარტო მათ სამშობლოში როდი საღდება, არამედ ქვეყნის ხუთივე ნაწილში, სხვა და სხვა ერში და სახელმწიფოში, თანაც ეს პროდუქტნი მარტო დასახელებულ სამ კუთხეში როდი მზადდებიან, არამედ სხვა-

განაც, მაშასადამე, **სამივე საგნის წარმოება-გასაღება მჭიდროთ დაკავშიებული ეგრ. წოდებულ. მსოფლიო ბაზართან.** რასაკვირველია, არსებობს აგრეთვე ეროვნული, ან უკეთ-**ადგილობრივი** ბაზარიც: თვითეულ სახელმწიფოს, თვითოეულ პროვინციას, თვითოეულ მოზრდილ ქალაქსაც კი აქვს ეგრ. წოდ. ბირჟა, სადაც ათასგვარი საფინანსო სპეკულაცია მძვინვარებს და, სხვათა შორის, სადაც ხდება ბაზარში გამოსაფენად დამზადებულ საქონლის მთელ სერიათა, შეფასება, ან ჩვენებურათ—მაზანდის დაწესება. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ესა და ეს ადგილობრივი ბირჟა სრულიად დამოუკიდებელია სხვა ბირჟებისაგანაო, პირიქით მათ შორის კავშირი იმდენათ მჭიდროა, რომ უამკავშიროთ წარმოუდგენლიც კია თვითეულ მათგანის არსებობა. და ეს ბირჟანი ექვემდებარებიან ცენტრმტოლველ (centripetal) ტენდენციას, ე. ი. მოზრდილ ბირჟას ფასებს უკარნახებს დიდი ბირჟა, დიდს – მთლათ დიდი და ასე ბოლომდე. რას ნიშნავს ეს ბოლოს და ბოლოს? იმას, რომ ღარიბ სახელმწიფოს ბირჟას იჯაბნებს მდიდარ სახელმწიფოს ბირჟა და ყველას კი ბატონად უხდება მსოფლიო ბირჟა. სად იმყოფება ამ უკანისკნელის რეზიდენცია? ეს კი დროსა და ადგილზეა დამოკიდებული. დღეს ესა და ეს სახელმწიფო გამხდარა მსოფლიო წარმოება-ვაჭრობის ცენტრად ანუ ბუღაზად, ხვალ შეიძლება მეორე გახდეს, დღეს ინგლისი ბრძანებლობს, ხვალ შეიძლება გერმანიამ წაართვას მას უპირატესობა და ასე დაუსრულებლივ. უფრო ხშირათ ასეთაც ხდება, რომ ერთ რომელსამე საქონლის ბუღაზა და აქედან მაზანდის დამკანონებლად ერთი მსოფლიო ქალაქი გამოდის, მაგ., ლონდონი, მეორე საქონლის კი —მეორე, მაგ., ნიუ-იორკი.. .

საქონელი ეძებს მყიდველს, ეს უკანასკნელი, - კი თუ გინდ ჯანდაბის იქითა მხრიდან მოვიდეს, - მისთვის სულ ერთია ქართველი თუ რუსი, ფრანგი თუ ჩინელი. ის წარმოადგენს ამა თუ იმ ღირებულებას, რომლის ეკვივალენტი გამოისახვის ფულში, უკანასკნელი კი სულაც არაა ეროვნული, როგორც ეს ჩვენს ავტორს ჰგონია. თავი და თავი ის კი არ არის, რომ ამა თუ იმ ოქროს ან ვერცხლის ნაჭერს ზედ საფრანგეთის მამალი ან კიდევ რომელსამე გვირგვინოსანის სახე აზის. გერმანიაში, მაგ., თვითოეულ ოქროსა და ვერცხლზედ გამოჭრილია ხან იმპერატორი ვილჰელმი, ხან საქსონიის თუ ბავარიის მეფე, ხან ჰესენის თუ ვაიმარის დიდი ჰერცოგი, ხან კიდევ ჰანზას რომელსამე „რესპუბლიკის“ ღერბი, — მაგრამ ეს კიდევ არ იძლევა საბაბს ვთქვათ: არსებობს პრუსიის, ვაიმარის ან კიდევ ჰამბურგის **ეროვნული** ფული! ოქრო ან ვერცხლი პირველ ყოვლისა **საქონელია** და ისიც ისეთი საქონელი, რომელსაც ყველაზედ ნაკლებ ატყვია რაიმე პატრიოტული „ელფერი.“ სხვა საქონელს ვერც კი გაასაღებთ ყველგან და ყოველთვის, ფული კი თვით ჯოჯოხეთშიც კი პოულობს გასავალს, როგორც ხალხური ანდაზა იტყვის ხოლმე. ხოლო დიდი გამჭრიახობა არ იქნებოდა გვეთქვა — ოქრო ფასობს არა მისი წონის მიხედვით, არამედ იმით, ბზიალობს თუ არა მის ზედა-პირზედ ვილჰელმის აწკვეტილი ულვაშები ან მამლის აბირბილებული ბოლო?! კარგი იქნებოდა ერთხელ მაინც შეიჭვრეტდეს ავტორი იმ ვეება, შავ და უფანჯრო დარბაზში, რომელიც City-შია გადაჭიმული და სახელად ინგლისის ბანკს ატარებს: იქ დაინახავდა ის, თუ როგორ „უტიფრათ“ ეპყრობიან ინგლისელნი გვირგვინოსანთა თავებს და სახელმწიფოთა

ლერბებს და სამაგიეროთ როგორის „მოწიწებით“ სწორნიან ისინი თვით ლითონს.

და განა მარტო ესა თუ ის ძვირფასი ლითონი ეწევა მსოფლიო ბრუნვაში ფულობას? არა, რა საკვირველია, ამ მხრივ გაცილებით უფრო ჭარბობს ეგრ. წოდ. აქცია-ობლიგაციები, ვექსილ-ჩეკები და სხ. ეს კი მოასწავებს იმას, რომ მთელი თანამედროვე წარმოება-ვაჭრობა, პირველ რიგზე, **კრედიტზედ** ემყარება, ხოლო კრედიტმა არ იცის ეროვნული ზღუდენი. დღეს საანბანო რამედ გამხდარა სრულიად გადამთიელ ერთა წევრებ შორის სააღებ-მიცემო მჭიდრო კავშირი. უფრო ხშირათ არც არსებობს რაიმე პიროვნულ დამოკიდებულება სხვა და სხვა ერთა წევრებ შორის, ამის მაგიერობას უბრალო ქაღალდი ეწევა, რომლის ძალით რუსი სოვდაგარი, მაგ., ახალზელანდიაში არსებულ მადნეულობათა სააქციონერო საზოგადოების დივიდენდში მონაწილეობს. ყველა ამ და ბევრი სხვა რთულ დამოკიდებულებათ ავტორმა შეიძლება არც კი უწოდოს სოციალური მოვლენანი“?! მაშ რაღაც ჯადოქარს და არა ამ მოვლენათ უნდა მიეწეროს, მაგ., ამას წინათ **ამერიკის** სარკინის-გზო კრიზისის მეოხებით გამოწვეული დეპრესია წარმოება-ვაჭრობის სფერაში **ევროპის** სხვა და სხვა სახელმწიფოში! რაღა შორს წავიდეთ: რუსეთში რეაქცია გააბატონა არა საფრანგეთის გაფილისტებურმა rentier-მ, არამედ ილიოდორის გალიუცინაციამ!

მივსცეთ ჩვენს მსჯელობას კიდევ უფრო კონკრეტიული გამოხატულება. წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს ინგლისთან შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი მსოფლიოს ყველა ერებმა და სახელმწიფოებმა, ერთი ნემსის ყურწის ოდენა არაფრი შეაქვთ იქ და არც არაფერი გააქვთ იქიდან,—რა შედეგს მივიღებთ? **თავზარდამცემს**

ინგლისელთა მთელ ერისათვის: დამზადებულ საქონელთა უშველებელი ზვინები კუნძულს ვერ განშორდებოდა, ნედლი მასალა გარედან არ შემოვიდოდა, არ შემოვიდოდა ხორბლეულობა და ბევრი სხვა სანოვაგეც, შეჩერდებოდა მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში აღიკვეთებოდა აღებ-მიცემობა, არ შემოვიდოდა მილიარდები სარგებლის სახით მთელს დუნიაზედ გაბანდულ კაპიტალისტებიდან, ინგლისის ბანკი თავის ოპერაციებს შეაჩერებდა, ჟანგი მოეკიდებოდა სავაჭრო ფლოტს, გაჩნდებოდა საშინელი უმუშევრობა და შიმშილი, დაემხობოდა სამხედრო ძლიერება.... ერთი სიტყვით, დღევანდელ ბრწყინვალე და ამავე ალბიონს იგივე მოუვიდოდა, რაც ერთხელ რომის იმპერიას მოუვიდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი **უომრათ** გაქარწყლდებოდა, მაშინ როდესაც მეორემ ბარბაროსებთან უთანასწორო ომებში დალია სული. განა სხვა ერებს კი კარგი დღე დაადგებოდა? ინგლისთან ყველა ძაფების გაწყვეტა დიდ ალიაქოთს გამოიწვევდა ყველა იმ ერებში და სახელმწიფოებში, რომელთაც წინეთ კავშირი ქონდათ მასთან, — აბა რომელი იქნებოდა ისეთი, რომ ეს კავშირი არ ქონოდა! და სწორეთ ამ უფართოეს და ურთულეს დამოკიდებულებათა ერთბაშათ მოშლა-მოსპობა განუზომელ და ჯერ კიდევ უნახავ შედეგებს გამოიწვევდა ყველგან, სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებათა გაკოტრება ყველგან გადამდებ სენივით იმძვინვარებდა, მრეწველობა-მეურნეობის სფერა ძალზე შეიკუმშებოდა ყველგან, რასაც შესაფერი უმუშევრობაც ზედ მოჰყვებოდა..... რასაკვირველია, სხვა სახელმწიფონი და ერნი ისე არ დაემხობოდენ, როგორც ეს **განმარტოვებულ** ინგლისს მოუვიდოდა — ამ უკანასკნელის მეტოქე სახელმწიფოთა სხვა და სხვა დარგის წარმომადგენელნი, კიდეც მოიგე-

ბდენ,—მაგრამ **საერთოთ** ათ წელსაც ვერ გამობრუნდებ-ბოდენ ისინი აწერილ კატაკლიზმის ცუდ და გამანადგურებელ ზიანისაგან.

ახლა დაუშვით, აგრეთვე ჰიპოტეტიურათ, რომ თვითეული ერი თუ სახელმწიფო იმავე ტაფაზე იწვის, რა ტაფაზედაც ინგლისი იწოდა, ჩატყდა ხიდი მათ შორის და მოისპო ყოველივე მიმოსვლა,—რა შედეგს მივიღებდით? სრულიად არაფერსაც!—უდარდელათ მოგვიგებს ავტორი, ის დიდ ბედნიერებათაც კი ჩათვლიდა, პირიქით, ჩარხის ასე დატრიალებას. პეტრე კროპოტკინი და კარლ ბიუხერი სწორედ ასეთ იმედს უნერგავენ მას გულში. ერთა შორის შრომის განაწილება თანდათან ადგილს უთმობს ისეთ ტენდენციას, რომ თვითეული ერი ცდილობს ყოველივე მისთვის საჭირო საგანი თვითონვე, სხვა ერის დამოუკიდებლათ შეჰქმნას—ასე მსჯელობს ავტორი.

მზგავს გულუბრყვილობას იშვიათათ თუ წააწყდება ადამიანი! მართალია, ამა თუ იმ ერს ყოველთვის თან სდევს სურვილი ეკონომიურათ დამოუკიდებელი გახდეს, რადგან ასეთი ვითარება თავდებია აგრეთვე მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ გამოსულა ისეთი გულუბრყვილო ეთქვა: ხსენებულ დამოუკიდებლობის უებარი წამალი სხვა ერებთან ყოველგვარ ეკონომიურ კავშირის მოსპობა არისო! მართლაცდა, ბ. Baton-ის ლოგიკას რომ ბოლომდე ჩავყვეთ, გამოვა, რომ რომელიმე სერბია ინგლისზე წინა დგას ეროვნულ-ეკონომიურათ! სერბია ინგლისთან შედარებით **დიახაც თვითონ ამზადებს თავის საყოფ** გამოსაკვებს, ტანისამოსს (გაიხსენეთ სოფლური ქსოვილები მატყლისაგან, ბამბისაგან, სელისაგან! ტყავის ქალამანსაც ნუ დაივიწყებთ!) და სხ. აქედან, სერბია უეჭველათ უფრო

ადვილათ აიტანს მსოფლიოდან სრულიად გამოთიშვას, ვინემ ინგლისი, — მაშ პირველი უფრო დაწინაურებული ყოფილა, ვინემ მეორე! ჩვენ კი გვეგონა, ცოდვილთ, რომ ინგლისი უმაღლესათ დამოუკიდებელია ეკონომიურათ, იგი ბევრ სხვა ერებსაც გაბატონებია ამ მხრივ და ყველა ეს მიუხედავათ იმისა, რომ მას **ერთ დღესაც** არ შეუძლია დანარჩენ ქვეყნებთან უმიმოსვლოთ გასტანოს.

ერი, რაც უფრო განვითარებულია ის კაპიტალისტურათ, მით უფრო მჭიდრო და რთულია მისი დამოკიდებულება სხვა ერებთან; მისგან გატანილ და შემოტანილ საქონელთა რაოდენობა შეუჩერებლათ მატულობს წლითი-წლობით, არა თუ კლებულობს. ავტორი კი გვეუბნება კროპოტკინის პირით: „ამიტომაც კლებულობს თანდათან **ყველგან** სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი.“ (182, ხაზი ჩემია). ჯერ ერთი, თუ შემოტანილ საქონლის რაოდენობა **ყველგან** კლებულობს, ამით გატანილ საქონლის რაოდენობაც უთუოთ **ყველგან** უნდა კლებულობდეს, წინააღმდეგის დაშვება დიდი სიბეცე იქნებოდა. ეს აუცილებელი დასკვნა ავტორს თითქო დაუვიწყნია, ნამდვილათ კი ის ალბათ განზრახ სჩადის ამას. მიზეზი ისაა, რომ ის ვერ დაასახელებს ვერც ერთ მაგალითს, რომ კაპიტალისტურათ დაწინაურებულ ერის საქონლის ტრიალს უცხოეთთან **დაეწიოს**, და თუ ოდესმე რაიმე არაჩვეულებრივ მიზეზის გამო ასეთ მოვლენას დროებით მაინც ქონებია ალაგი, ეს მას, ერს, მისთვის სასურველ და სახეირო რამედ დაესახოს. პირიქით, ყოველ ერის წლიური ანგარიშებიდის პაფოსით აღნიშნავს აღებ-მიცემობის **გადიდებაგაფართოებას უცხოეთთანეს** საუკეთესო მაჩვენებელია მის ეკონომიურ და აქედან პოლიტიკურ ძლევა-მოსილებისა.

შეიძლება ავტორს იმის აღნიშნვა უნდოდა, რომ ყოველი ერი მართლაც ცდილობს რაც შეიძლება **მეტი** საქონელი გაიტანოს შიგნიდან და სამაგიეროთ რაც შეიძლება ნაკლები საქონელი შემოიტანოს გარედან. ახლა ამას დავაკვირდეთ. ერი, სანამ ის საკმაოთ არაა განვითარებული მართლაც ვერ ახერხებს გატანილ საქონლის რაოდენობა შემოტანილისას აღემატებოდეს, ამიტომ მთელი მისი ენერგია მიმართულია იქითკენ, რამე ფერათ ბალანსი ანუ თანასწორობა დაამყაროს ორსავე კათეგორიის საქონლის რაოდენობათა შორის; შემდეგი ნაბიჯი კი ისაა, რომ ის ახლა ცდილობს ეს ბალანსი ისევ დაარღვიოს **გატანილ** საქონლის სასარგებლოთ. თავი და თავი ეს მეორე ხანაა, ის მოასწავებს კაპიტალიზმის უმაღლეს განვითარებას რომელსამე ერში. როცა გატანილ საქონლის რაოდენობა სჭარბობს შემოტანილისას, ეს, რა საკვირველია, არ ნიშნავს იმას, თითქო ზედმეტი საქონელი მუქთათ ურიგდებოდეს უცხოელებს,—არა, ამ შემთხვევაში ზედმეტ საქონლის ღირებულება **ფულის** სახით ბრუნდება უკან, ხოლო ეს თავისუფალი ფული მის მეპატრონეთ შეუძლიან ადგილობრივი წარმოების გაფართოებას მოახმარონ, ან კიდევ უცხოეთში გაბანდონ ამა თუ იმ მომგებიან საქმეებში. ასეთ მდგომარეობაში დღეს, მაგ., ინგლისი იმყოფება, მერე რა მტკიცდება ყველა ამით? მხოლოდ და მარტო ის, რასაც ზევით ვამბობდი: ერთა შორის ეკონომიური კავშირი კიდევ უფრო ძლიერდება, არა თუ სუსტდება. ინგლისს **გააქვს** ზედმეტი საქონელი და ამ გზით მიღებული ზედმეტი ფულიც უმეტეს შემთხვევაში **უცხო ერთა** წარმოების აღორძინებას ხმარდება. მაგრამ არც ეს პრივილეგიური მდგომარეობა არის მუდმივი და შეურყეველი, ინგლისის კვალს მიზდევენ სხვა ერებიც, ასე რომ

გატანილ და შემოტანილ საქონლის რაოდენობა. ისევ ძველ კალაპოტს უბრუნდება თვითეულ ერში, ე. ი. ორსავე ჯურის საქონელი თანდათან უთანასწორდება ერთმანეთს. მაგრამ ეს კითხვა სულ სხვაა და მეც არ გამოვუდგები მას.

ამ რიგათ, ჩვენი ავტორის ვითომდა მეცნიერული პროგნოზი ერის პროგრესიულ მსვლელობის ყირამალაზედ დაყენებას მოასწავებს, მეტს არაფერს. ან თუ გნებავთ, ის განსვენებულ პუბლიცისტ **მიხალოვსკის** სოციალოგიურ თეორიის მიმდევარია ცხოვრებაში. სწორეთ მიხაილოვსკი ამტკიცებდა ინდივიდთა შორის შრომის განაწილების მავნებლობას და მთელის ენერგიით ექომაგებოდა ისეთ წვრილ-ბურჟუაზიულ ვითარებას, როცა თვითეული ინდივიდი თანაბრათ დახელოვნებულია ყოველ დარგში,—ამას თვლიდა ის ნამდვილ პროგრესათ. ბ. Bàton-საც ერი ინდივიდის სახითა აქვს წარმოდგენილი და ამიტომ მისი იდეალი იმაში მდგომარეობს, რომ ერი თვითონვე გახდეს **ყველაფრის** შემქნელი და აქედან დანარჩენ ერებიდან ეკონომიურათ სრულიად გამოთიშულ-განცალკევებული,—ესეც მისი „ორგინალური“ თეორია პროგრესზე!

ჩვენ დავინახეთ, ერის ასეთი „დამოუკიდებლობა“ მტკნარი უტოპიაა. დააკვირდით თუ გინდ ავტორის პოზიციას პროტექციონიზმის მიმართ,—ის თითქო თავს იმით ინუგეშებს, რომ ამ საშვალებით ყოველ ერს შეუძლია თავის დამოუკიდებლობა დაიცვას და განამტკიცოს. ჯერ ერთი, პროტექციონიზმი კაპიტალისტურათ **სუსტი** ერის **ხელოვნური** საშვალებაა და ისიც ძლიერ პრობლემატიული ანუ საეჭვო; კაპიტალისტურათ **ძლიერ** ერს იგი არ ეჭივრება, პირიქით, ის ბორკავს და აფერხებს მის ძლევამოსილ სრბოლას. ჩვენს ავტორს კი ეს სის-

ტემა, როგორც ეტყობა, **მოწინავე** ერის კიდევ უფრო დაწინაურების ნამდვილ ბერ-კეტად მიუჩნევია! შეიძლება მან მიმითითოს იმაზე, რომ თითქმის ყველა ერნი იმარჯვებენ ამ სისტემას და ამიტომ საბაჟო კედლები ყველგან ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ მითითებით ის მხოლოდ თავის „პროგრესისტობას" დაამტკიცებს. ვინ არ იცის, რომ ეს კარ-ჩაკეტილობა ყველგან, განსაკუთრებით—დაწინაურებულ ქვეყნებში ნამდვილ ღვთისრისხვად არის მიჩნეული როგორც მშრომელთათვის, ისე მომხმარებელთათვის? ან იქნება, მაგ., უმაღლესათ აღორძინებულ გერმანიას დიდ სიკეთეს უშვრება შავლურჯი ბლოკი იუნკერთა და ცენტრისა თავის პროტექციონიზმით? მაშ უსამართლოთ ეძახიან მათ ხალხის სისხლის მწოველებს და მევახშეებს (Blutsauger unn Brotwucherer)?

მეორეს მხრით, ერის მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი შეიძლება იმაში გამოიხატება, ავტორის აზრით, რომ, მაგ., ინგლისის გაბატონებულნი კლასნი დიდ ცდაში არიან ამ უკანასკნელათ წვრილი მესაკუთრე გლეხობა (small landhholders) ძალზე გაამრავლონ სოფელში. ისინიც ხომ იმით ასაბუთებენ თავიანთ მოქმედებას, რომ ეს ახალი კლასი წვრილ გლეხობისა თვალსაჩინოთ ასწევს ხორბლეულობის მოსავალს ინგლისში და მით უკანასკნელი **დამოუკიდებელი** გახდება მიწადმომქმედ ქვეყნებისაგანო?! ნამდვილათ კი ცხადზე უცხადესია, რომ ინგლისის ბატონ-პატრონნი დიდათ უფრთხიან უმიწაწყლო პროლეტარიატის სიმრავლეს და მოყვანილ საშვალებით მხოლოდ-ღა მის გათხელებას ლამობენ.

რა საკვირველია, ყოველი ერი ცდილობს უმწვერვალესათ განავითაროს თავისი ბუნებრივი და სოციალური ძალები; ის ხშირათ ხელს კიდებს ისეთ საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადებას, რომელსაც გუშინ, შეიძლება, კიდეც გა-ურბოდა, სამაგიეროთ ის ხელს იღებს, აგრეთვე ხშირათ, ამა თუ იმ საქონლის დამზადებაზე. ყველაფერი, მზგავს შემთხვევებში, დამოკიდებულია ცივ და ულმობელ პირობებზე და არა ერის ან ცალკე მწარმოებელის „კეთილ სურვილებზე“.

ძალიან ხშირათ თვით ბუნება სდებს საზღვრებს, რომელთა გადალახვა საზოგადოების თუ ცალკე ინდივიდის ძალას აღემატება. ცივ-ჰავიან ქვეყნებში თქვენ ვერ მოიყვანთ, რაც უნდა ეცადოთ, მრავლისაგან მრავალ სათუთ მცენარეულობათ, როგორნიც არიან: ვაზი, მთელი რიგი ხილებისა და ყვავილებისა, ყავა, ჩაი, თამბაქო, თუთის ხე და სხ. ცხელ ქვეყნებში სამაგიეროთ თქვენ არ ხვდებით დაბურულ ტყეებს, გრძელ-ბეწვიან ნადირთ, თევზით მდიდარ მდინარეთ და სხ. ერთი ქვეყნის ტრიალი მინდვრები კარგია სახნავ-სათესათ, მაგრამ იქ მადნეულობა ძვირობს; მთა-გორიან ქვეყანაში კი შეიძლება ეს უკანასკნელი ძალიან ბლომათ იყოს, მაგრამ ხორბლეულობა ცოტა ან სულ არ მოდიოდეს იქ...

ხოლო რაც შეეხება სოციალ-ეკონომიურ პირობებს, ამ მხრივ სახეში მისაღებია: ტექნიკის განვითარების ესა თუ ის ხარისხი, ნედლ მასალის და სანოვაგის სიძვირე-სიაფე, შრომის ხელ-ფასი, ორგანიზატორული ძალა კაპიტალისთა, ერთის მხრით, და მუშათა, მეორეს მხრით, სოციალურ კანონდების ხასიათი, თავისუფალ თანხათა სიდიდე-სიპატარავე, ბაზრის სიშორე-სიახლოვე, პოლიტიკურ წყობილების ესა თუ ის წესი და სხ. აქ ჩამოთვლილი პირობები, საერთოთ თუ ცალკე აღებულნი, ძალიან ხშირათ **გადამწყვეტნი არიან**, რომელ ქვეყანამ რა და რა საგნების დამუშავებას უნდა მიჰყოს ხელი. თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ვხვდებით ისეთ მაგალითს, როცა

კაპიტალისტი ხელსაყრელათ არა თვლის მის ქვეყანაში გაჩერებას და მთელი თავისი წარმოება უცხოეთში გადააქვს; მეორეს მხრით, მუშებიც გაურბიან ხშირათ სამშობლოს და ცხრა მთის იქით იხვეწებიან. ისიც კია, დღევანდელ ვეება ბანკების მეოხებით კაპიტალისტს არც კი სჭირდება ხშირათ სხვაგან გადახვეწა, მისი თავისუფალი თანხა გზას იკვლევს მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ასე რომ მან არც კი უწყის, **სად და რას** სჩადის მისი თანხა, თეთრ-წითელ-შავ-ყვითელ კანიან მუშების ზურგზედ აძრობილ ზედმეტ ღირებულების, სარგებლის სახით, ბანკი აძლევს მას...

მაშასადამე, ერთა შორის შრომის განაწილება თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილების უაღრესი და უძლიერესი მხარეა, ის არ ჰქრება და არც სუსტდება, როგორც ეს ჩვენს ავტორს მოუსურვებია, არამედ კიდევ უფრო რთულდება და მტკიცდება. ამ ძლევა-მოსილ საეპოქო პროცესის წინაშე პროტექციონიზმი და სხვა რამე მხოლოდ-ღა პალიატივაა, რომელსაც ხშირათ იმარჯვებენ ამა თუ იმ ერის გაბატონებული კლასები თავიანთ გაუმაძღარ მადის დასაკმაყოფილებლათ და არა რაღაც პატრიოტიზმის სათრით. ნამდვილი კულტურულობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ ერმა ყველა მისთვის აუცილებელი ნივთები, „ინდა არ გინდა, უთუოთ თვითონ აწარმოოს“, არამედ იმაში, რომ რაც შეიძლება **ნაკლებ** შრომით რაც შეიძლება **მეტი** ღირებულება შეჰქმნას მან, ერმა. ეს კი მოასწავებს იმას, რომ ყოველი ერი ჰქმნის ისეთ ნივთებს, რომლებიც **რაც უფრო ეგუება ადგილობრივ ბუნებას და სოციალ-ეკონომიურ ვითარებას**, მას გააქვს ზედმეტი რაოდენობა ამ ნივთებისა **გარეთ** და სამაგიეროთ შემოაქვს მისთვის საჭირო **სხვა** ნივთები—აი, უმარტივესი ფორმა შრომის განაწილებისა.

ცოტა არ იყოს, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ, იმედია, მკითხველი დამეთანხმება, რომ თვით საგანი მსჯელობისა ღირს ამად. კაპიტალისტურმა წესწყობილებამ წარმოშვა საზოგადოებრივ ცხოვრების ისეთი ვითარება, რომლის მზგავსი არ იცოდა გასულმა საუკუნეებმა. იგი, წესყობილება, ემყარება, ერთის მხრით, საწარმოო ძალთა **კერძო საკუთრებაზედ**, ხოლო მეორეს მხრით—თვით წარმოების **განსაზოგადოებრიობაზედ**. შრომის განაწილების და ტეხნიკის უმწვერვალესი განვითარება შესაძლელად ხდის მრავალ ადამიანთა საერთო და ჰარმონიულ თანამშრომლობას, რომელიც თავის მხრივ ჰბადებს აუარებელ სიმდიდრეს, აგრეთვე ყველა იმ გასაშტერებელ სასწაულთ, რომელთა მოწმე ჩვენა ვართ; მაგრამ სწორეთ იმავე დროს ამ განსაზოგადოებრივებულ შრომის ნაყოფით მხოლოდ-ღა **უმცირესობა** სარგებლობს სავსებით, **დიდი უმრავლესობა კი**, რომელმაც შეჰქმნა მთელი ეს სიმდიდრე—კომფორტი, იძულებულია მარტოოდენ ნასუფრალს დასჯერდეს. **მშრომელის და საწარმოო ძალაა ერთმანეთისაგან გათიშვა**—აი ის სათავე, საიდანაც ყოველივე უსამართლობა და ბოროტება გამომდინარეობს.

და აი ყველა ეს კულტურა და უკულტურობა, ადამიანის ძლევამოსილება და იმავე ადამიანის დაბეჩავება ახასიათებს არა მარტო ერთ ერს, არამედ ყველა ამ ერებს, რომელთა წიაღში კაპიტალიზმს თავისი მძლავრი ფესვები გაუდგამს. აქედან **ერთფეროვნება საზოგადოებრივ ცხოვრებისა** ყველა, კაპიტალისტურათ ღაწინაურებულ ერებში პირდაპირ განმაცვიფრებელ ხარისხს აღწევს. **ყველგან** თქვენს ყურადღებას იპყრობს არსებითათ **ერთგვარი** „ეკონომიკა“ და აქედან წარმოშობილი **ერთგვარი** „ზედნაშენი“. მივმართოთ ფაქტებს.

კერძო საკუთრება და ადამიანის (იურიდიულათ)

პირადი თავისუფლება ყოველ კაპიტალისტურ ერის ქვაკუთხედს წარმოადგენს, სწორეთ ამ ქვაკუთხედზედ ემყარება მისი სამოქალაქო უფლებაც ანუ სამართალი. ცნობილია, ევროპიელებმა ძველ რომაელებს დაესესხენ, როგორც ზოგად პრინციპებს უფლებაზე. ისე მრავალ კანონებს, რომელნიც მათ შეუფარდეს საკუთარ სოციალ-ეკონომიურ განწყობილებათ. ეს კი შესაძლებელი იყო იმდენათ, რამდენათ ესა თუ ის ერი ფეხსა დგამდა ახალ კაპიტალისტურ ცხოვრებაში. ამიტომაა კიდეც, რომ სამოქალაქო უფლება—პროცესი, საზოგადოთ მთელი სამართალი ყველა კაპიტალისტურ ერებში არსებითათ **ერთი და იგივეა**. ამას ვერ უარყოფს ვერც ერთი თვალხილული. დღეს ყველამ უწყის, მაგ., რომ ეგ. წოდ. დიდ ნაპოლეონის კოდექსი, ეს უშესანიშნავესი ნაშთი საფრანგეთის დიდ რევოლიუციისა, **სანიმუშოდ** გახდა შემდეგში ყველა გვიან წამოჭრილ ერთათვის.

ახლა ავიღოთ პოლიტიკა. პირველ ყოვლისა პრინციპი სახელმწიფოებრივობისა არსებითათ ყველგან **ერთგვარად** ესმით და აქედან ამ პრინციპის ცხოვრებაში განსახვა ყველგან **ერთგვარათ** ხდება. თვითეული კაპიტალისტური ერი აწესებს თავისთვის წარმომადგენლობითს მართვა-გამგეობას, რომელიც იმავ დროსვე სამ—პიროვანია: კანონმდებლობა, აღსრულება და მართლმსაჯულება. მართალია, ამ სამ ფუნქციის ურთიერთი განწყობილება ყველგან და ყოველ ერში ერთგვარი არაა, მაგრამ ამით ის-ღა მტკიცდება, რომ ერთი ერი მეტათ განვითარებულა, ხოლო მეორე—ნაკლებ, ან კიდევ ერთის ერის ბურჟუაზია ადრე გამოსულა საზოგადო ასპარეზზე, ხოლო მეორის—გვიან. ვინ არ იცის, რა დიდი გავლენა იქონია ინგლისის პოლიტიკურმა წყობილებამ საფრანგეთის ეგ, წოდ. განმანათლებლებზე, მათ შორის მონ-

ტესკიო ჰქმნის ახალ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივობის შესანიშნავ მწყობრ თეორიას, რომელიც ნამდვილ კატეხიზმოდ იქცა კონტინენტის ყველა ერთათვის ახალ სახელმწიფო მართვა-გამგეობის დასაფუძნებლათ.

მაგრამ სახელმწიფო ხომ ბატონობის იარაღად გამხდარა დღეს თვითეულ ერში. უკანასკნელი გახლეჩილია ორ უმთავრეს ბანაკად, რომელთა შორის ხდება მალულათ თუ ცხადათ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი,—ესაა **კლასობრივი ბრძოლა**, რომელიც ღერძია თვით საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ მხრივ სრული ანალოგია არსებობს თანამედროვე, კაპიტალისტურათ განვითარებულ ერთა შორის. აქ ებრძვის ერთმანეთს ორი დიდი და საეპოქო პრინციპი: ერთი ებლაუჭება **აწმყოს**, მეორე იცქირება **მომავლისაკენ**, ერთი კონსერვატიულია, ხოლო მეორე რევოლიუციონური.

თანახმად ამისა მიზანი და საშვალება, რომელთაც ისახავს და ანხორციელებს თვითეული ეს ერთმანეთთან შეურიგებელი კლასი, არსებითათ **ერთი და იგივეა** სხვა და სხვა ერში, მშრომელი მასსა ყველგან ერთგვარათ მიისწრაფვის დაარსოს პოლიტიკური, პროფესიული და კოოპერატიული ორგანიზაციები და მით ენერგიულათ დაიცვას თვითეული მისი წევრი, როგორც მოქალაქე, როგორც მუშა და როგორც მომხმარებელი. არც მოპირდაპირე კლასსა სძინავს, თავის თავათ მისახვედრია, ის იღებს ამა თუ იმ ზომას თავის პრივილეგიურ მდგომარეობის განსამტკიცებლათ, სახელმწიფოს ორგანოები მის ინტერესების მუდმივი და ერთგული დარაჯია ამისათვის. რაც შეეხება მუშათა კანონმდებლობას, ეს ისეთი დარგია, რომელიც ანალოგიურათ წარმოებს ყველგან. როცა, მაგ., ინგლისის სამინისტრო აგზავნის თა-

ვის მოხელეს გერმანიაში მუშათა სამ-მაგ დაზღვევის მეასასწავლათ, ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ერთი სახელმწიფო ბაძავს მეორეს აქა თუ იმ სოციალურ ზომის დაკანონებაში.

თვით სულის-კვეთება კლასთა, მათი ზნე და ხასიათი, იდეოლოგია და პრაქტიკული გამოსვლები საკვირველათ წააგავენ ერთმანეთს სხვა და სხვა ერში. ამის მიზეზი **მზგავსი** სოციალ-ეკონომიური ვითარება არის. დღეს უკვე მწერლობაშიც ხშირათ გვესმის სიტყვები: პროლეტარი, კაპიტალისტი, წვრილი ბურჟუა და სხ. თვითეულ ამ სიტყვის გაგონებაზე ჩვენ ნათლათ წარმოგვიდგება გონებაში ადამიანი **განსაკუთრებულ ტიპისა** როგორც ობიექტივურ მდგომარეობით, ისე ფსიხიკით, და ეს — **მიუხედავათ მის ეროვნებისა**. საილუსტრაციოთ საკმარისია გავიხსენოთ თუ გინდ ისეთი ტერმინები, როგორიცაა: კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი, რადიკალიზმი-ანტისემიტიზმი — ანარქიზმი, სოციალ - დემოკრატიზმი. თვითეული ეს „იზმი“ ერთგვარ შინაარსს გულისხმობს ყველგან, ვინაიდან ყოველ ერში არის მეტ-ნაკლებობით მსხვილი მიწათმფლობელი კლასი — ეს ბუდე კონსერვატიზმისა, მსხვილი და საშვალი ბურჟუაზია — აკვანი ლიბერალიზმისა, წვრილი ბურჟუაზია, საიდანაც იჩეკებიან სხვა და სხვა ჯურის enfants terribles: რადიკალნი, ანტისემიტნი, ანარქისტნი! დარჩა მუშათა კლასი — ჩონჩხი სოციალ-დემოკრატიზმისა...

აი, ერთფეროვნება მდგომარეობისა და სულიერ მიდრეკილებისა, თეორია და პრაქტიკისა ჰქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდება საერთაშორისო სამართალი. ამ უკანასკნელის მეოხებით უზრუნველყოფილია **ყველგან** კერძო საკუთრება და პიროვნების ხელშეუხებლობა **განურჩევლათ ეროვნებისა და ქვეშემრდო-**

მობისა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ უზრუნველყოფილია, ყველგან თავისუფლება მიმოსვლისა და საქმიანობისა; იმას, რომ, მაგ., საფრანგეთის სამსაჯულოს განჩინება შეიძლება ინგლისში მოიყვანოთ სისრულეში, თუ წაგებული მხარე აქ გადმოსულა საცხოვრებლათ; ან კიდევ გერმანელს დიახაც შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიმართოს იტალიის სამსაჯულოს და იქ განახორციელოს თავისი უფლება... ასე რომ ახლანდელ დროში ადამიანი მაშინაც კი ვერ გაექცევა რაიმე სამოქალაქო ვალდებულებას ან კრიმინალურ დანაშაულს, როცა ის გადახვეწილა უცხოეთში,—მას **აქაც** თანა სდევს აღმასრულებელი ფურცელი ან პოლიცია. არის ერთი გამონაკლისი—პოლიტიკური დანაშაული, მაგრამ ისიც არა ყველგან და არა თანაბარის მიუდგომლობით.

უეჭველია, საერთაშორისო სამართალი არაა ისე ნათელი და მტკიცე, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალი, მას აკლია განსაზღვრულობა და საკუთარი ორგანოები. არა სჩანს კანონმდებელი, არც აღმასრულებელი. ვინაიდან თვითეული სახელმწიფო **მის საკუთარ** კანონების თანახმათ სჯის და გადასჭრის **უცხოელის** საქმეს, ამიტომ გარეშე მაყურებელი ხშირათ ვერც კი ამჩნევს საერთა შორისო სიმართლის არსებობას. მაგრამ საკმარისია ცოტა ახლო დაუკვირდეთ საგანს, რომ ეს ბურუსი გაიფანტოს. საერთა შორისო სამართალის თავი და თავი დამახასიათებელი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ **თვითეულ-ული უცხოელი აღჭურვილია უფლებით დაიცვას თავისი ინტერესები სამშობლოს გადალმაც და ამისათვის დაიხმაროს იქაური საჯარო დაწესებულებანი.** ხოლო რაც შეეხება ამა თუ იმ სახელმწიფოს შინაგან სამართალს და პროცესს, არც ამ მხრივ არსებობს რაიმე დიდი სიძნელე, ვინაიდან, როგორც უკვე დავინახეთ ზე-

ვით, ისინი ყველგან **ერთსა და იმავ** პრინციპებზედ ემყარებიან, ამიტომ ადვილათ ეგუება მათ უცხოელი.

რომელია ის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც აკანონებს საერთაშორისო სამართალს? არ არსებობს საერთაშორისო პარლამენტი, ეს სრული სიმართლეა, მაგრამ ამით კიდევ არ მტკიცდება თითქო ასეთი ინსტანცია მარტოოდენ ფანტაზიის ნაყოფი იყოს. მე არრას ვამბობ სხვა და სხვა სეპარატიულ ხელშეკრულებებზე, რომელთაც სდებს ერთი სახელმწიფო მეორესთან და მით განსაზღვრავს ადამიანის უფლება-მოვალეობას ორსავეს ტერიტორიაზედ. გაიხსენეთ ეგ. წოდ. საერთაშორისო კონგრესები თუ კონფერენციები, რომელნიც იკრიბებიან პერიოდულათ და პარლამენტისებურათ აკანონებენ არა მარტო სახელმწიფოთა-შორისო განწყობილებათ, არამედ აგრეთვე **ადამიანთაშორისო** ათასგვარ დამოკიდებულებათ **ბანურჩევლათ ქვეშემრდომობისა.** მართალია, ამ კონგრეს-კონფერენციების დადგენილებანი მხოლოდ მაშინ შედიან ძალაში, როცა მათ ხელს მოაწერს ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობა; ასეთი ფედერატიული წესი ხომ ცალკე სახელმწიფოშიც ხშირათ არსებობს, მაგრამ ამ მიზეზით განა ვინ უარყოფს რომელსამე დადგენილების ძალასა და მნიშვნელობას.

ამ უკანასკნელათ არსებობს უკვე საერთაშორისო **მუდმივ** დაწესებულების ნასახიც—ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი. ამის გარდა, ვის არ სმენია ერთი ფრიად გავრცელებული აზრი, რომლის მიმდევარნი ქადაგებენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა საბაჟო პალოების წაქცევას და შუაგულ ევროპის **ერთ საყოველთაო** საბაჟო კედლებშუა მოქცევას. საქმის ასე დატრიალება უეჭველათ იმას გამოიწვევდა, რომ შიდ მომწყვდეულნი ერნი ეკონომი-

ურათ და აქედან პოლიტიკურათაც ძლიერ დაუახლოვ-
დებოდენ ერთმანეთს.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეგ. წოდ. საერთაშო-
რისო ორგანოები და მათი ფუნქციები ჯერ კიდევ ასე
ვთქვათ, ეფემერულ შინაარსისა და მნიშვნელობის არიან,
მათ ჯერ კიდევ ვერ დაუმჩნევიათ ცხოვრებისათვის შე-
საფერი დაღი. მაგრამ მე რისი თქმა მინდოდა—ეს **ისაა**,
რომ სხვა და სხვა ერთა და მათ წევრთა შორის გაბმუ-
ლია განუწყვეტელი ქსელი, რომელიც თანდათან უფრო
და უფრო იხლართება და რთულდება, რომ ეს კავშირი
და ერთობა თანდათან უფრო და უფრო ვითარდება და
მტკიცდება, რაიცა ბოლოს და ბოლოს იწვევს **საყოველ-
თაო მომწესრიგებელ ორგანოების აუცილებელ სა-
ჭიროებას**. დღეს ამ ორგანოთა მხოლოდ ღა ნასახები
არსებობს, მაგრამ არაფერი ეღობება წინ, რომ ისინი
მომავალში საერთაშორისო ცხოვრების ნამდვილ მამოძრა-
ვებელ ფაქტორებად იქცენ.

არაფერი, **გარდა გაბატონებულ კლასებისა**! თვი-
თეულ სახელმწიფოს თუ ერის სათავეში ჯერ კიდევ **გაბატო-
ნებულნი კლასნი დგანან მესვეურებად**. ამიტომ რაღა
გასაკვირია თუ დღეს-დღეობით საერთაშორისო სამართალი
და ბევრი სხვა ლამაზი მიეთ-მოეთობა აერთებს და აკავ-
შირებს არა იმდენათ ერებს და მათ წევრებს, რამდენათ
**ყველა ერთა გაბატონებულ კლასებს ყველა ერთა და-
მონებულ კლასების წინააღმდეგ**. ვინ არ იცის, რომ
თანამედროვე გამანადგურებელი მილიტარიზმი მიმართუ-
ლია არა იმდენათ გარეშე, რამდენათ **შინაურ** მტრის
წინააღმდეგ, სწორეთ ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის
უტყუარი და სრულიად **ანალოგიური** ფაქტიც, რომ
ყველგან და ყოველ ერში მშრომელი მასსა თავგანწი-
ოულათ იბრძვის სახელმწიფო მართვა-გამგეობის **სრულ**

დემოკრატიზაციისათვის. მხოლოდ და მარტო ამ გზით ფიქრობს ის სამუდამოთ ბოლო მოუღოს გაბატონებულ კლასთა ეგ. წოდ. დიპლომატიის დამღუპველ პარპაშს. იგი ხმას იმაღლებს ქუჩაზედ თუ პარლამენტის ტრიბუნიდან საერთაშორისო **ცარცვა გლეჯის** წინააღმდეგ.

არსებობს, მაშასადამე, კლასთა არა მარტო ეროვნული (ერის ფარგალში), არამედ **საერთაშორისო** სოლიდარობაც. სახელმწიფო მრავლისაგან მრავალ საშვალებებს იძლევა, როგორც დავინახეთ, ამ სოლიდარობის განსამტკიცებლათ. ამას ხელს უწყობს ის დიდი და მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს სხვა და სხვა ერთა წევრებ შორის როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობაში. აქ საკმარისია გავიხსენოთ ეგ. წოდ. კარტელები და ტრესტები, რომელნიც თანდათან არა სჯერდებიან საკუთარ ერის ფარგლებში მოქმედებას, ისინი ერთბაშათ და **მრავალ ერში** ლამობენ ბაზრისა და მოედნის დანარჩუნებას. მათ გაუხდიათ ამა თუ იმ საქონლის დამზადება თავაანთ **მონოპოლიად**, ამიტომ ისინი ხშირათ განუკითხავათ ბატონობენ მსოფლიო ბაზარზედ; ისინი დაუზოგველათ ჭყლეტენ ხოლმე უფრო სუსტ მეტოქეთ, ამ შემთხვევაში, არ დაგიძებენ, რასაკვირველია, არც მოდგმას და არც ეროვნებას; იგივე ორგანიზაციები სისტემატურათ ერევიან შრომისა და კაპიტალის უთანხმოებაში და ზურგს უმაგრებენ **კაპიტალისტ-წევრთ** განურჩევლათ ეროვნებისა და ქვეშემრდომობისა...

ასეთი მებრძოლი ორგანიზაციები დამონებულ კლასებს უფრო ეჭვრებათ, ვინაიდან გაბატონებულ კლასებს ისედაც დიდ ქომაგობას უწევს ყველაზე მძლავრი ორგანიზაცია—სახელმწიფო. მშრომელთა მასსას გადააქვს თავისი კლასობრივი ბრძოლა აგრეთვე საერთაშორისო ნიადაგზედ. იგი ამ მიზნით პერიოდულათ მართავს საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაშორისო კონგრეს — კოფერენციებს, რომელნიც იმუ-შავებენ **სავალდებულო** დირექტივებს ყველა ეროვნულ ორგანიზაციათათვის, იგი აარსებს აგრეთვე **მუდმივ** საერთაშორისო ორგანოებს: ბიუროთ, სეკრეტარიატებს და სხ. ამ ჯვარათ, მუშათა სამივე ჯურის ორგანიზაცია: პარტია, პროფესიონალი და კოოპერაცია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს **განურჩევლათ ეროვნებისა.** მეტია მითითება იმ ათასგვარ მოვლენებზე, რომელნიც თითქმის ყოველ დღე ადასტურებენ ამ ორგანიზაციათა საერთაშორისო სოლიდარობას როგორც ნივთიერ-მოლარულათ, ისე პოლიტიკურათ. ფრიად დამახასიათებელია ამ უკანასკნელათ, შეგნებულ მუშათა ინტენსიური მისწრაფება, რათა თვითეულ ერის სამსავე კლასობრივ ორგანიზაციას **კარი ფართეთ გაეღოს გარეშე ერის თუ საბელმწიფოს მუშათა მისაღებათ და შესასისხლხორცებლათ..-**

*
* *

რა დასკვნის გამოყვანა შეიძლება ყველა ზემო თქმულიდან? **ერთფეროვნება სოციალურ მოვლენათა და ანალოგიური სრბოლა სხვა და სხვა ერში ერთი უშესანიშნავესი და უცხადესი ფაქტია თანამედროვე ცხოვრებისა** რა თქმა უნდა, ამის ძირითადი მიზეზი წინეთაც და ახლაც ერთისა და იმავ სოციალ-ეკონომიურ რეჟიმის გაბატონება იყო და არის სხვა და სხვა ხალხსა და ერში. ასე იყო ფეოდალურ ხანაში, მაგრამ კაპიტალისტური ხანა ერთობ დამახასიათებელია ამ მხრივ, წინეთ „ეკონომიკა-ზედნაშენის“ ერთფეროვნება არ იწვევდა სხვა და სხვა ხალხის წევრთა-შორის რაიმე სოციალობას, დინასტიათა და მალალ წოდების ნათესავური თუ პირადი განწყობილება კიდევ ვერ ჰქმნიდა ამ სოციალობას. ახლა კი ეს უკანასკნელი ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია.

არაა იგი თვალსაჩინო ბ. Bäton-ისათვის. მას არა-

ფერი სწამს სოციალურ კათეგორიების ერთფეროვნებისა. იგი აზროვნებს ფილოსოფიურ-აბსოლიუტურათ და არ იცის რა ხილია მეცნიერულ-რელატივური პრინციპი. ადამიანი, რომელიც უარყოფს „სოციალურ ორგანოთა“ და მათი ფუნქციების ერთფეროვნებას სხვა და სხვა ერში, რა საკვირველია, არას გზით არ დაუშვებს სოციალობის უბრალო ნასახსაც ამ სხვა და სხვა ერის წევრთა შორის. იგი **არსებობს**, როგორც დავინახეთ.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი სოციალობა არ ვრცელდება მთელს კაცობრიობაზე. მილიარდ-ნახევარ ადამიანისაგან შემდგარი კაცობრიობა, რომლის შესახებ ასე მოუსვენრათ ქაქანებს ავტორი, მართლაც არ შეიცავს ერთნაირ მასალას, იგი გულისხმობს სულ მაღალ და სულ დაბალ კულტურის წარმომადგენელთ და ამიტომ სოციალობა ყველა მათ შორის დასაშვები არ არის. მაგრამ ეს გარემოება კიდევ არ გვაძლევს ნებას აქვე წერტილი დასვათ და კვიეტიზმს მივეცეთ. ავტორი სწორეთ ასე იქცევა. ის უპირისპირებს ერსა და კაცობრიობას ერთმანეთს და ერთ ბეწო ანგარიშს არ უწევს რა ხდება **მათ შუა**. სიმძიმის მთელი ცენტრი სწორეთ **იქაა** და არა სხვაგან. ერი წარმოსდგა ადამიანთა სოციალობიდან, მაგრამ რა უშლის ამავე სოციალობას ერზე უფრო დიდ ერთეულზე გავრცელდეს? ავტორი ვერ ატყობს, შესაძლოა—არ უნდა მას შეატყოს, რომ კითხვის ასე დაყენება დიდ ხიფათში აგდებს მთელს მის დასკვნებს. სოციალობა არ ვრცელდება კაცობრიობაზე, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ მას ვერ იტევს ერის ფარგლებიც? თუ, მაგ., ევროპის **სხვა და სხვა** ერმა ერთ მშვენიერ დღეს **ერთსა და იმავ** სოციალობის მორევში ამოყო თავი, მაშინ როგორ? მაშინ ხომ მივიღებთ ეროვნულ ორგანიზმის გარდა კიდევ უფრო დიდ და უფრო ფართე სოციალურ ორ-

განიზმს? საქმის ასე დატრიალება დედა-ბუდიანათ ეარ-ყევს ავტორის უძირითადეს დებულებას თითქო **ერის გადალმა შეუძლებელია რაიმე სოციალობა**: ეს კი თავის მხრით ბოლოს უღებს მის „უმშვენიერეს“ დასკვნას— **ერი ყველაფერია, კაცობრიობა არაფერი.**

ისიც სრული ჭეშმარიტებაა, რომ ერის გადალმა ჩვენ არ გვეგულება დღეს-დღეობით მაინც მასზე უფრო დიდი და ფართე სოციალური **ორგანიზმი.** ცხოვრების განვითარებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ამ წერტილამდე, მაგრამ ეს კიდევ არაა დიდი დაბრკოლება. ჩვენ დავინახეთ, რომ ევროპიელთა ანუ თეთრ-კანიანთა ეგ. წოდ. ცივილიზაცია უკვე ჰქმნის დღე-დღეზე, წლითი წლობით სოციალობის ისეთ ელემენტებს და ამ ელემენტთა ისეთ ურთიერთობათ, რომ უბრალო მომაკვდავიც ადვილათ განსჭვრეტს ხსენებულ, ერზე **უდიდეს** ორგანიზმის შესაძლებლობას მომავალში, არა თუ შესაძლებლობას—აუცილებლობასაც კი.

მე ბევრი ვილაპარაკე და მეტია განმეორება, რომ ევროპიელთა თანამედროვე ცხოვრებამ იცის ადამიანთა და კლასთა იმგვარი სოციალური დამოკიდებულებანიც, რომელნიც თავზე გადადიან ამა თუ იმ ერის ბუნებრივ გავლენას და ჰქმნიან, ასე ვთქვათ, **არა-შიგ ეროვნულ** (nicht innernational) სოციალობას. და ეს სოციალობა, რაც დღე გადის, უფრო და უფრო რთულდება, უფრო და უფრო მაღალ საფეხურს აღწევს. კაპიტალიზმი, ეს მძლეთა-მძლე საზოგადოებრივი ურთიერთობა, თავს უყრის ყველა ჯურის ევროპილეთ, განურჩევლათ ეროვნებისა და ქვეშეშრდომობისა, და ჟღენთავს მათ საერთო ინტერესითა და მისწრაფებით.

კაცობრიობა ორგანიზმი არ არის, ეს არ არის არც ევროპიელობა ანუ სუმა ევროპის მცხოვრებთა, მაგრამ

ჩანასახნი თვით **ორგანიულ** სოციალობისა დიდი ხანია გაჩდენ მათ შორის და დღეს უკვე მძლავრ საზოგადოებრივ ფაქტორებად ქცეულან ისინი. მაშასადამე, აქ არის ლაპარაკი **ტენდენციაზე ანუ მიდრეკილებაზე** და არა დასრულებულ პროცესზე.

რაც სიტყვით ასე ჩქარა გამოითქმის, იგი სინამდვილეში ნაყოფია მრავალ წელთა და საუკუნეთა საზოგადოებრივ ევოლიუციისა. მე დავსახე კაპიტალიზმი ყოველგვარ კარ-ჩაკეტილობის ულმობელ მტრად, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს, ვითომ ჩვენ უთუოთ კაპიტალისტურ ხანაში უნდა მივაღწიოთ კაცობრიობის, თუნდ ევროპიელთა ერთ სოციალურ ორგანიზმად ქცევას. კაპიტალიზმი იმდენ წინააღმდეგობას შეიცავს თავის არსებაში, რომ მისთვის შეუძლებელიც კია ასეთ დიად მისიის „კეთილათ დაგვირგვინება". ამას ბევრი მტკიცება არა სჭირია, არც ადგილია აქ ამისათვის. გაიხსენეთ თუ გინდ თანამედროვე მილიტარიზმი, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავენ გაბატონებულნი კლასნი და მიზეზად კი მარტოოდენ **ერის ანუ ნაციის კეთილდღეობას** ასახელებენ,—აქედან ისინი **შეგნებულათ** გაურბიან ერთა სოლიდარობა-დაახლოვებას, რომელიც **მეტ ბარგად** გახდიდა მილიტარიზმს, ამ უებარ იარაღს **„შინაურ მტრებს"** წინააღმდეგ! გაბატონებულთა ტრაგიზმიც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების გარდუვალი ევოლიუცია ეწინააღმდეგება მათს კლასობრივ ინტერესებს, პირველი მიგვაქანებს საკაცობრიო ორგანიზაციისაკენ, მეორე კი დეორგანიზაციისაკენ...

სოციალიზმი, კლასობრივ წინაამღდეგობათა მომსპობი წესწყობილება, ეს ხორცშესხმული ჰარმონია ცხოვრების მიდრეკილებისა, ერთის მხრით, და ადამიანთა სოციალ-ეკონომიურ ინტერესისა, მეორეს მხრით, **დაას-**

რულებს იმ პროცესს, რომელსაც საძირკველი კიდევ კაპიტალისტურმა ხანამ ჩაუყარა. კაპიტალიზმმა დაგვანახვა **ერის** ორგანიზმობა, სოციალიზმი დაგვანახვებს აგრეთვე ევროპიელობის და შემდეგ თვით **კაცობრიობის** ორგანიზმობას.

ბ. Baton ანგარიშს არ უწევს თანამედროვე ცხოვრების ამ ცხადზე უცხადეს ტენდენციას, უამისოთ კი კაცობრიობის **სოციოლოგიურათ** განხილვა დიდი აბსურდია. მან მოიწადინ ერისა და კაცობრიობის სწორეთ „სოციოლოგიური მხრით“ აწონ-დაწონვა, ხოლო უარყო თვით ცხოვრების ევოლიუციის კანონები. ასე წარმოიდგინეთ, მან გვერდიც კი აუხვია მის პირდაპირ დანიშნულებას და კაცობრიობა **ბიოლოგიურ** ცნებად გამოაცხადა! მას აინტერესებს სოციალურ მოვლენათა სტატიკა—ერის არსებობა—,ხოლო რაც შეეხება იმავ მოვლენათა დინამიკას—ცვალებადობა—,ის არ აკვირდება და არც უნდა დააკვირდეს მას. აქედან ის **კონსერვატიული** მოაზრეა par exellence. ნუ გაიკვირდებათ: ანარქისტნი, მართალია, „შეიარაღებულ აჯანყებას“ ექომაგებიან, მაგრამ **აზროვნებაში** ერთობ სტატიკები (თუ სტატისტები?) არიან! ამის მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, ხშირათ ისიცაა რომ საფუძვლიან კვლევა-ძიება მათ ცუდ გუნებაზე აყენებს. საილუსტრაციოთ აიყვანეთ იგივე Baton, რომელიც ვერა და ვერ ურიგდება კაცობრიობის მთლიანობა-ერთობას, „შეუძლებლობის გარდა-ბრძანებს ის—ასეთი ერთობა არც სასურველია. იგი სიკვდილია ინდივიდუალობისა, ორიგინალობისა. იგი **მოსაწყენია** და მკვლელი შემოქმედებისა.“ (372, ხაზ. ჩ.). როგორც ხედავთ, ავტორი შიშობს, ვაი თუ ასეთ საკაცობრიო ერთობაში **გასართობი** არაფერი დამრჩესო! სოციალურ-მოვლენათა დანიშნულე-

ბაც თურმე ის არის, რომ გაართოს და არ მოაწყინოს ჩვენი ავტორი!

მზგავს სუბიექტივისტისაგან არცაა გასაკვირი თუ გინდ ასეთი ფრაზაც: „კოსმოპოლიტიზმი შეუძლებელი უაზრობაა.“ (371). მაშ უაზრონი ყოფილან ყველა ისინი, ვინც იგი წამოაყენა მახლობელ წარსულში?! იგივე ავტორი აი, რას გვეუბნება მეორე ალაგას: „საკვირველია, ზოგიერთ ხალხს, მაგალითად ფრანგებს, ერთი და იგივე სიტყვა „Humanité“ აქვსთ ორი ცნების გამოსახატავად— **„კაცობრიობისა და ადამიანობისა“**, (375, ხაზ. ავტ.). ცხადია, ავტორი ვერ ამჩნევს მჭიდრო კავშირს, არსებულს კოსმოპოლიტზმსა და humanité-ს შორის, — უამისოთ იგი არ მონათლავდა პირველს უაზრობად.

კოსმოპლიტიზმი, როგორც საზოგადოებრივი მიმდინარეობა, საფრანგეთის დიდ რევოლიუციის პირმშო შვილია. მე-XVIII-ე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა აბსოლიუტიზმს ჯერ კიდევ გული საგულესა ჰქონდა, საფრანგეთის ენციკლოპედისტნი და საზოგადოთ განმანათლებელნი ოავდავიწყებით ქადაგებდენ **ადამიანის უზნეობას** განურჩევლათ შთამომავლობისა და სოციალურ მდგომარეობისა. შემდეგ, დიდ რევოლიუციის იმ საბედისწერო მომენტში, როცა ევროპის გვირგვინოსნებმა ლუი მე XVI-ესთან ერთათ საფრანგეთის ასაოხრებლათ შავბნელი კოალიცია შეადგინეს, „მაშინვე დაიბადა აზრი — ამბობს ცნობილი ისტორიკოს **ოლარი** შესახებ **ხალხთა ფედერაციისა** მეფეთა წინააღმდეგ, შესახებ **ევროპის მუნიციპალიზაციისა**“ ამ დროს ეკუთვნის 18 უცხოელ შესანიშნავ პირთა რევოლიუციონურ კონვენტის მიერ საფრანგეთის სრულ-უფლებიან მოქალაქეებად აღიარება: ინგლისელ ბუნებისმეტყველ პრისტლეისა, ამერიკელ პატრიოტ ვაშინგტონისა, შვეიცარელ პედაგოგ პესტა-

ლოცისა, გერმანელ პოეტ შილერისა და სხვებისა. „ამ
გვარათ — განაგრძობს იგივე ოლარი — მარიაობისთვესა და
ენკენისთვეში 1792 წ. ბევრისათვის სათაყვანებელ იდეალად იქცა დემოკრატიული, გაერთიანებული და პროპაგანდისტული რესპუბლიკა, რომელიც ლამობდა უნივერსალურად ქცევას.“

ამ „უნივერსალურ რესპუბლიკის“ წევრნი, საფრანგეთის საუკეთესო შვილთა აზრით, **ნამდვილ ადამიანებად, თავისუფალ მოქალაქეებად** უნდა ქცეულიყვენ. მაშასადამე, **კოს მოპოლიტიზმი იგივე იყო წინეთ რაც ადამიანობა, კაცობრიობაში განსახული**, გაიხსენეთ სიტყვა „humanite-ს ორ-აზროვნება დღესაც კი კოსმოპოლიტიზმი და ჰუმანიზმი ძალზე უახლოვდებიან ერთმანეთს ჩვენს წარმოდგენაში. ეს კოსმოპოლიტიზმი ან კიდევ ჰუმანიზმი აღიარებდა ორ ცნებას **ადამიანს და კაცობრიობას**, მათ შუა რომ ერთი ცოცხალი სოციალური **ორგანიზმი — ერი** არსებობდა, ეს უყურადღებოთ რჩებოდა. მაგრამ ძალიან ცოტა ხანს გასტანა ასეთმა მდგომარეობამ,—იმავ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა ერი, როგორც **ძვირფასი ხელუხლებელი** პრინციპი, მან გარდაჰქმნა ფრანგნი „დიდ ნაციად“... როცა იტალიაში გამარჯვების შემდეგ ჯერ ისევ ღენერალი ბონაპარტე მოვიდა პარიზს, მან ასე მიმართა ყოფილ ხუცესსა და მაშინ კი დირექტორიის წევრს სიეისს: „მე შევქმენი **დიდი ნაცია** რაზედაც მოხუცმა მორიდებულათ მიუგო უზურპატორს: „ეს იმიტომ, რომ ჩვენ **კიდევ უფრო ადრე** შევქმენით **ნაცია-—ისე უეპიტეტოთ**

აქედან კოსმოპოლიტიზმის ალაგი დაიჭირა **ინტერნაციონალიზმმა**, რომელიც გულისხმობს სამსავე ცნებას: **ადამიანს, ერს და კაცობრიობას** ცხადია, ინტერნაციონა-

ლიზმი კოსმოპოლიტიზმის **განვითარებაა** და არა მისი უარ-
ყოფა. ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი სწორეთ ისაა, ვი-
საც ასულდგმულებს პირველ კოსმოპოლიტთა ანუ ჰუმანი-
სტთა მაღალი იდეალები. ყველას ახსოვს რევოლიუციო-
ნურ საფრანგეთის აღმაფრთოვანებელი საკაცობრიო
ლოზუნგი: liberté, égalité draternité! (თავისუფლება, თა-
ნასწორობა, ძმა-ობა!)--ვინ წამოისროლა ეს სიტყვები? **დიდ-
მა ნაციამ** ნუთუ ახლაც არაა ნათელი სრული ჰარმონია ერსა
და კაცობრიობის შორის? ღირსეული მამულიშვილი იმასა
ჰქვია ჩვენს დროში, ვინც იმავე დროს არა ნაკლებ ღირსეუ-
ლი **მსოფლიო მოქალაქეა** ერის სიდიადე შეუძლებელია,
თუ მისი წევრნი გაჟღენთილი არ არიან როგორც ეროვნულ
ისე საკაცობრიო იდეალებით. მეცნიერებაც სწორეთ ამ
იდეალების ერთგული დარაჯია.

ბ. Bàtou სხვაგვარ მსჯელობს, ის შემდეგი სიტყვებით
ათავებს თავის შრომას: „და **ადამიანობის** იდეალი რომ
დაიჭერდეს ადგილს **კაცობრიობის** იდეალისას ადამიანის
შეგნებაში,—ვგონებთ მისთვის ეს უფრო ჭეშმარიტი,
კეთილშობილი და დიადი იდეალი იქნებოდა.“ (ხაზ.ავტ.).
ასე და ამ გვარათ. ავტორი შეურიგებელი მტერია ცნე-
ბა კაცობრიობისა, მას უნდა ამოშალოს იგი „ადამიანის
შეგნებიდან“! ხოლო ნურვინ იტყვის, რომ თვითონ ის
„შეგნებული“ მოაზრეა. ადამიანობა ისეთი რამ განყე-
ნებული ცნებაა, რომელიც გასცილებია ერის ქერქს და
მხოლოდ კაცობრიობაში პოულობს სრულს განსახვას.
და ეს იმიტომ, რომ ცხოვრების ევოლიუცია ყველგან
და ყოველ ხალხში ერთსა და იმავ კანონებს ექვემდე-
ბარება, რომ ლოლიკა **ერთია** აქედან ადამიანი ყველგან და
ყოველ ხალხში ერთგვარათ ითვისებს ამ კანონებს და
ერთგვარათვე გამოხატავს მათ ამა თუ იმ ენაზე.

ახლა კი დროა დავაყენო თვით ის კითხვა, რომელიც მხოლოდ ღა **ირონიულათ** დავაწერე ამ წიგნაკს სათაურად: **ერი თუ კაცობრიობაბ.** Báton არ ხუმრობს, როგორც დავინახეთ, **და** სერიოზულათ უპირისპირებს ამ ორ ცნებას ერთმანეთს, ისინი მას გამოჰყავს ერთი მეორის ანტიპოდად, მის წარმოდგენაში ერის არსებობა სახიფათოა კაცობრიობის და წინაუკმოთ--კაცობრიობის არსებობა ერის არსებობისათვის მზგავსი მსჯელობა მოკლებულია როგორც აზრს, ისე გონიერებას. ერი და კაცობრიობა სულაც არ არიან ერთი მეორის უარმყოფელნი ცნებანი. ერთიცა და მეორეც ძალიან კარგათაც შეიძლება არსებობდეს **ერთსა და იმავ დროს,** როგორც მთლიანი რამე, როგორც ორგანიზმი. ეს არ ეწინააღმდეგება არც რეალურ ცხოვრებას და არც მით უმეტეს ადამიანის ლოგიკას.

ჩვენს დროში ბევრს აინტერესებს კითხვა—გაითქვიფებიან თუ არა ოდესმე ერნი კაცობრიობის დიდ ოკეანეში, ან სხვა სიტყვით—მოისპობიან თუ არა ოდესმე ერნი, როგორც ასეთნი? ბ. Báton-ს ერთობ მწვავეთ ჩასწვეთებია ეს კითხვა გულის სიღრმეში, კაცობრიობა მას მოსჩვენებია რაღაც საშინელ ტარტაროზად, რომელიც ნათქავს ყველაფერს და მათ შორის ერსაც, ამიტომაც ასე ცხარეთ ეკვეთება იგი მას. დავამშვიდებ ავტორს,—ეს კითხვა **აკადემიურის ხასიეთისაა** და მისი თვით ცხოვრების მიერ გადაჭრა შორეულ მომავალს ეკუთვნის. დღესდღეობით ჩვენ საქმე გვაქვს, ერთის მხრით, სოციალურ ორგანიზმებთან—**ერებთან** და მეორეს მხრით ისეთ **არა-შიგეროვნულ სოციალურ** მოვლენებთან, რომელთა რომელთა დაუცხრომელის რბოლა **მიდრეკილია** აგრეთვე ერზე უდიდეს და უფართოვეს სოციალურ ორგანიზმის

ჩამოყალიბებისაკენ. კაპიტალიზმის და შემდეგ სოციალიზმის გამაერთიანებელი ტენდენცია, რა თქმა უნდა, მარტო ერზე არ შეჩერდება—ვისაც ერის ჩამოყალიბების პროცესი ნათლათა აქვს წარმოდგენილი მას არ გაუჭირდება განსჯვრიტოს ადამიანის მოდგმის გაერთიანება მთელს მსოფლიოზე, და ეს იმიტომ რომ ორსავე შემთვევაში **ერთი და იგივე** „რკინის კანონები“ მოქმედებს—,მაგრამ საზოგადოებრივმა ცხოვრებამ იცის აგრეთვე მეორე, სახელდობრ **განმაცალკევებელი** ტენდენციაც. მრავალფეროვნება ისეთივე კანონიერი მოვლენაა, როგორც ერთფეროვნება; მათ არა აქვთ, როგორც ერთ ალაგას ვთქვით, არც დასაბამი და არც დასასრული. ადამიანთა ცხოვრებაში გაბატონებულია ორნაირი მიდრეკილება, ერთი არის ნიველიზაცია (გათქვეფა) და მეორე ინდვიდუალიზაცია (განცალკევება); პირველს იწვევს მოვლენათა ერთფეროვნება და მეორეს—მოვლენათა მრავალფეროვნება. ერთა შორის შრომის განაწილება, მაგ., აშკარათ მოწმობს ამ ორ მიდრეკილების არსებობას: ერნი ვერ სძლებენ უერთმანეთოთ, ამ მხრივ მათი წევრნი თითქო ერთ საკაცობრიო ორგანიზმში შედიან; იმავე დროს თვითეული ერი თავის თავათაც ცალკე ინდვიდუალობას წარმოადგენს, რაიცა გამოწვეულია ბუნების და სოციალ-ეკონომიურ ვითარების სხვა და სხვაობისაგან.

მაშასადამე, ადამიანი და ერი არსებობენ მატერიალურათ, ხოლო კაცობრიობა იდეოლოგიურათ, მაგრამ ეს იდეოლოგია, რა თქმა უნდა, მეტაფიზიკურ მიეთმოეთობის ნაყოფი არ არის, იგი გამომდინარეობს თვით სოციალურ ცხოვრების ძლევამოსილ მსვლელობიდან. მეცნიერება მარტო არსებულის აღიარება როდია, ის

ითვალისწინებს აგრეთვე მოვლენათა აუცილებელ ურ-
თიერთობას მომავალში. **აქედან სამივე პრინციპი — ადამიანი, ერი, კაცობრიობა — ერთნაირად ძვირფასი და მისასწრაფავი უნდა იყოს ყველა იმათთვის ვინც კი წინ იხედება.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს.

ეს წიგნაკი დაუმთავრებლათ გამოდის. მასში მოთავსებულია მხოლოდ პირველი ნახევარი ხელთნაწერისა, მეორე ნახევარმა კი ავტორისა და გამომცემლობისაგან „დამოუკიდებელ მიზეზების გამო“ სტამბამდის ვერ მიაღწია. კომენტარიები მეტია...

ავტორი იმედს არ ჰკარგავს, რომ მას კიდევ მიეცემა საშვალება დანაკლისის შესავსებათ.

ა. ჩ – ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა